

K 7606  
2

საქართველოს  
კულტურის  
მინისტრის

ბეჭედი

სსრ მეცნიერებათა აკადემია  
მეცნიერულ-პოპულარული სესია

პროფ. შ. ჭავიძეი

ოჩინველი სასუკები და მათი  
გამოყენება მოსავლის მობის  
გარემონტიზის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
გამოცემლები

თბილისი

1955



მეცნიერულ-პოლიტიკური სერია

პროფ. გ. ჭავჭავაძე

ორგანიზი სასექტი და მათი  
გამოყენება მოსავლიანობის  
გაღირებისათვის

7606  
—



## შ ე ს ა გ ა ლ ი

დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე რუსეთში ხელოვნური, მინერალური სასუქების მრეწველობა არ არსებობდა. უცხოეთიდან შემოზიდული ხელოვნური სასუქებისა და აღგილჲე მოწყეული მარცვლეულის ფასების შეფარდება კი ხელსაყრელ პირობებს არ ქმნიდა ამ სასუქების ფართო გამოყენებისათვის. ამიტომ რევოლუციამდელ რუსეთში ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების ერთადერთ საშუალებას ორგანული სასუქები, სახელდობრ, ნაკელი წარმოადგენდა.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ეს მდგომარეობა ძირდესვიანად შეიცვალა: საბჭოთა კავშირში შეიქმნა მძლავრი ქიმიური მრეწველობა და ხელოვნური სასუქების მრეწველობის დამოუკიდებელი დარგი; აგებულ იქნა აზოტიანი, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების მწარმოებელი უდიდესი ქარხნები, კერძოდ, ამჟამად საქართველოში, რუსთავში მთავრდება აზოტიანი სასუქის დიდი ქარხნის მშენებლობა. სასუქების მრეწველობამ 1953 წელს სოფლის მეურნეობას მიაწოდა 6 მილიონ ტონაზე მეტი სხვადასხვა სასუქი. უახლოეს წლებში სასუქების მრეწველობის სიმძლავრე უნდა გაორკეცდეს და გასამკეცდეს: 1959 წლისათვის სოფლის მეურნეობამ უნდა მიიღოს 17,5 მილიონ ტონამდე ხელოვნური სასუქი.

მიუხედავად ხელოვნური სასუქების მრეწველობის ასეთი უდიდესი ზრდისა, აღგილობრივი, ორგანული სასუქების მნიშვნელობა არამცთუ არ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდევაც. აგრონომიული მეცნიერებისა და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის მიერ დიდი ხანია დამტკიცებულია, რომ

ორგანული და მინერალური სასუქების ერთლიოული გამოყენება, ე. ი. განოყიერების ორგანულ-მინერალური სისტემის გატარება გაცილებით უფრო მეტ გავლენას ახდენს ნიაღაგის ნაყოფიერებასა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე, ვიდრე ცალ-ცალკე ორგანული ან მინერალური სასუქების გამოყენება.

ამიტომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ დიდ ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ ორგანული სასუქების გამოყენების საქმის გაუმჯობესებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმზე აღინიშნა, რომ რიგ რაიონებში ორგანული სასუქების დაგროვებას, წესიერად შენახვასა და გამოყენებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, არასაკმარისად იყენებენ მწვანე სასუქად ხანჭკოლს, ჩიტფეხას და სხვა მცენარეებს. ამის გამო პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია უზრუნველყოფილ იქნეს ადგილობრივი სასუქების—ნაკელის, ტორფის, ნაკელის წუნწუხის, სხვადასხვა კომპოსტის დაგროვებისა და გამოყენების მნიშვნელოვანი გადიდება; იქ, სადაც ტორფის საბადოები მოიპოვება, უნდა გადიდდეს მისი გამოყენება სასუქად და საქონლის საფენად; ფართო მასშტაბით უნდა მოეწყოს კომპოსტების და ორგანულ-მინერალური ნარევების დამზადება და გამოყენება. საერთოდ ეს საქმე ისე უნდა წარიმართოს, რომ უახლოესი 2—3 წლის მანძილზე კოლბეურნეობებმა ერთნახევარ-ორჯერ უფრო მეტი რაოდენობით უნდა გამოიყენონ ორგანული სასუქები, ვიდრე 1952 წელს იყენებდნენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის თებერვალ-მარტის პლენუმმა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო ორგანოებისაგან მოითხოვა ბოლო მოულონ ორგანული და მინერალური სასუქების შეუფასებლობას, რაღაც ისინი წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს საშუალებას მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასუქების გამოყენებას არაშავმიწანიადაგიანებულნაშია,

სადაც სასუქად ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ნაკელი ტორფი, ფოსფორიტის ფქვილი, უნდა გაფართოვდეს ხანჭკოლის და სხვა მცენარეთი თესვა მწვანე სასუქად, მჟავე ნიადაგების გაკირიანება. სავალდებულოდ არის მიჩნეული საკმარისი რაოდენობის ნაკელის, ტორფის და სხვა სასუქების შეტანა ანულის ხვნის დროს და სხვ.

საქართველოს საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები ორგანული სასუქების დაგროვებას და სწორ გამოყენებას აქამდე ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ. ნაკელის დიდი სიმცირის მიუხედავად, ამ ძვირფასი სასუქის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუყენებელი რჩება, არ არის დაცული ნაკელის შენახვის წესები. კიდევ უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა ნაკელის წუნწუხს, მწვანე სასუქს და კომპოსტებს.

საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის ოქტომბრის პლენურმა დასახა ლონისძიებანი ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. პლენურმა მიგვითითა, რომ მრავალწლიანი ნარგავების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა ორგანული სასუქების რაოდენობის მკვეთრი გადიდება; მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ნაკელის, კომპოსტების და სხვა ადგილობრივი ორგანული სასუქების გამოყენება კარტოფილისა და ბოსტნეულის გასანოყიერებლად, ჯეროვანი ადგილი უნდა დაიკავოს მწვანე სასუქმა ახალგაზრდა ბალების, ჩაის და სხვა კულტურების განოყიერების სისტემაში. ნაკელის წესიერი დაგროვებისა და შენახვის მიზნით, ყველა ფერმასთან უნდა მოეწყოს სანაკელე.

პარტიისა და მთავრობის ამ დავალებათა განხორციელება ჩვენგან მოითხოვს, რომ მინერალური სასუქების სწორ გამოყენებასთან ერთად მაქსიმალური რაოდენობით დავაგროვოთ და გავიტანოთ მინდვრებზე, ვენახებში, ხეხილის ბალებში და სხვა ნაკვეთებზე ყველა სახის ორგანული სასუქი: ნაკელი, ნაკელის წუნწუხი, სხვადასხვა სახის კომპოსტი, მწვანე სასუქი და სხვ.

ამ ბროშურაში ჩვენ ვეხებით ორგანული სასუქების ყველა რესურსის მაქსიმალური მობილიზაციისა და სწორ გამოყენებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს.

ნაკელი უხსოვარი ღროიდან წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას ნიადაგის ნაყოფიერებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაღიღებისათვის.

ნაკელი სრული სასუქია, რადგან იგი შეიცავს მცენარისათვის საჭირო ყველა საკვებ ნივთიერებას: აზოტს, ფოსფორს, კალიუმს, კალციუმს და აგრეთვე მიკროელემენტებს: ბორს, მანგანუმს და სხვ. იგი აუმჯობესებს აგრეთვე მცენარის ნახშირორჟანგოვანი კვების პირობებს.

დადგენილია, რომ ოესლბრუნვებში სისტემატური გამოყენების ღროს თითოეული ტონა ნაკელი აღიდებს მარცვლეულის მოსავლიანობას საშუალოდ ერთი ცენტნერით.

ცნობილია, რომ ოესლბრუნვაში ნაკელის სისტემატური გამოყენება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ნიადაგის თვისებებს: ანელებს ზედმეტ მჟავიანობას, აცხოველებს მიკრობიოლოგიურ პროცესებს, აღიდებს მცენარისათვის ადგილად შესათვისებელ საკვებ ნივთიერებათა და ჰუმუსის რაოდენობას, აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას და სხვა. ასეთია ნაკელის ჩვეულებრივი დოზების—ჰა-ზე 20—40 ტონის მოქმედება ნიადაგის თვისებებზე. კიდევ უფრო ძლიერია და სწრაფი ორგანული სასუქების მოქმედება სუბტრობიკული კულტურების—ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს პლანტაციებზე, საღაც თრგანული სასუქების უფრო მაღალ დოზებს ხმარობენ და ნიადაგში სისტემატურად შეაქვთ მინერალური სასუქებიც.

მაგრამ ნაკელის დადებითი მოქმედება ნიადაგის თვისებებზე და მცენარეთა მოსავლიანობაზე დამოკიდებულია არა მარტო ნაკელის დოზებზე, არამედ მის ხარისხზეც. არის შემთხვევები, როცა ცუდი ხარისხის—გამოფიტული, გამორეცხილი და გამომშრალი ნაკელის გამოყენება არავთარ ეუექტს არ იძლევა. ამიტომ ნაკელის დაგროვების და შენახვის ღროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მისი ხარისხის გაუმჯობესებასაც.



საშუალო ხარისხის ნაკელი უნდა შეიცავდეს დაბაზულებით  
75 %, წყალს, 0,5%, აზოტს, 0,2% ფოსფორმჟავას და 0,6%  
კალიუმს.

სინამდვილეში ნაკელის ხარისხი და, მაშასადამე, მცე-  
ნარის საკვებისა და ორგანული ნივთიერების რაოდენობა  
მასში ძალიან მერყევია. იგი დამოკიდებულია საქონლის სა-  
ხეობაზე, მისი კვების რეჟიმზე, საფენად გამოყენებულ მა-  
სალაზე და ნაკელის შენახვის წესებზე.

ასე მაგალითად, პროფ. ა. მენალარიშვილის, მეცნ. კანდ.  
ვ. ლეჭავას და თ. მეტრეველის მიერ ჩატარებული გამოკვლე-  
ვების მიხედვით, საქართველოს სხვადასხვა აღგილას ნაკელის  
აღებულ ნიმუშებში ტენის, საერთო აზოტისა და საერთო  
ფოსფორის რაოდენობა შემდეგ ფარგლებში (პროცენტობით)  
მერყეობდა:

ტენისანობა	საერთო აზოტი	საერთო ფოსფორი
40–80	0,25–0,6	0,12–0,30

ერთ რომელიმე კოლმეურნეობაში ან საბჭოთა მეურ-  
ნეობაში ნაკელის ხარისხი სხვადასხვა იქნება იმისდა მიხედ-  
ვით, თუ რა პირობებში წარმოებს ნაკელის დაგროვება და  
შენახვა.

მაგალითისათვის მოგვყავს საქართველოს სსრ მეცნი-  
ერებათა აკადემიის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და  
მელიორაციის ინსტიტუტის მიერ საქართველოს სხვადასხვა  
კუთხიდან აღებული ნიმუშების ანალიზის შედეგები:

ცხრილი 1

ნაკელის შედგენილობა (1949 წლის ნაკელი, ანალიზი 1950 წ.)

№	რაიონი	ტენი	მშრალ		(75%) გადაანგარიშებით
			ნივთიერებაზე	ფოსფორ-მჟავა %	
			აზოტი %	ფოსფორ-მჟავა %	აზოტი %
1	ქობულეთის	75,0	1,76	1,19	0,44
2	"	64,0	1,0	0,88	0,25
3	წულუკიძის	74,5	2,5	0,73	0,62
4	"	68,4	1,59	0,80	0,40
5	"	59,5	1,89	0,63	0,47
6	საჩხერის	66,4	1,45	1,03	0,36
7	"	74,1	1,42	0,88	0,35
8	თერჯოლის	44,0	2,0	0,52	0,50
საშუალო		65,7	1,7	0,83	0,42
					0,20



როგორც ვხედავთ, დასავლეთ საქართველოში ნაკელის ქიმიური შედგენილობა მეტაზ ცვალებადია. განსაკუთრების ალსანიშნავია ზოგ გამოკვლეულ ნიმუშში ტენიანობის ნორმა-ლურზე ბევრად ნაკლები პროცენტი და ეს მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოში ნალექების დიდი რაოდენობა მოდის. ეს იმით აიხსნება, რომ აქ ნაკელი უსაფეროდ მზადდება; ამის გამო ის უფრო ადვილად იჯიტება, ვიდრე საფენით მომზადებული ნაკელი. დასავლეთ საქართველოს პირობებში დაგროვილი ნაკელი შეიცავს საშუალოდ 65,7% ტენს და ნორმალურ ტენიანობაზე — 75% -ზე გადაანგარიშებით — 0,42 პროცენტ საერთო აზოტსა და 0,20% ფოსფორ-მჟავას.

აღმოსავლეთ საქართველოში დაგროვილი ნაკელი (იხ. ცხრ. 2) ხასიათდება ნორმალური ტენიანობით, რადგან აქ ნაკელს ამა თუ იმ რაოდენობით ემატება საფენიც, რომელიც ხელს უწყობს ნაკელში ტენის შენარჩუნებას. რაც შეეხება აზოტის პროცენტს ნაკელში, ამ მხრივ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში დაგროვილი ნაკელი თითქმის ერთ-ნაირია.

#### ცხრილი 2

ნაკელის შედგენილობა (1949 წლის ნაკელი, ანალიზი 1950 წ.)

ს. ს.	რაიონი	ტენი %	მშრალ ნივთიერებაზე		ნორმალურ ტენიანობა- ზე (75%) გადაანგარი- შებით	
			აზოტი %	ფოსფორ- მჟავა %	აზოტი %	ფოსფორმჟავა %
I	მცხეთის	75,2	1,24	0,65	0,31	0,16
2	თიანეთის	70,1	1,12	0,68	0,28	0,17
3		79,0	2,0	0,77	0,50	0,19
4	დუშეთის	78,0	1,81	0,59	0,45	0,15
5	ლაგოდეხის	75,4	2,23	0,75	0,56	0,19
საშუალოდ		75,5	1,70	0,69	0,42	0,17

საქონლის იმ სულადობის მიხედვით, რომელიც საქართველოში ამჟამად მოგვეპოვება, ნაკელის დაგროვების სულ დაბალი ნორმებიც რომ ავილოთ, სახელდობრ, 5 ტონა ერთ



თავ მსხვილფეხა საქონელზე, 3 ტონა ცხენზე, ფარმაცეულიატ  
არ მივიღოთ მხედველობაში ცხვარი, ლორი და ფრინველი  
ყოველწლიურად უნდა გროვდებოდეს 2,5 მილიონი ტონა ნა-  
კელი მაინც. ნამდვილად კი ამაზე ბევრად ნაკლები რაოდე-  
ნობა გროვდება და გამოიყენება სასუქად.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ გავადიდოთ კოლმეურ-  
ნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში დაგროვილი ნაკელის  
რაოდენობა და მასთან გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი? ამი-  
სათვის საჭიროა საქონლის კვების პირობების გაუმჯობესება  
და ბაგურ კვებაზე თანდათანობით გადაყვანა.

მაგრამ არსებობს სხვა, შედარებით უფრო იოლი სა-  
შუალებანიც, რომელიც ყველგან შეიძლება განვახორცი-  
ელოთ.

ამჟამად საქართველოს რიგ რაიონებში ერთ თავ მსხვილ  
რქოსან საქონელზე დაგროვილი ნაკელის რაოდენობა შეად-  
გენს მხოლოდ 0,5—1 ტონას; ეს 4—5-ჯერ ნაკლებია იმ  
რაოდენობაზე, რომელიც ნორმალურ პირობებში შეიძლებო-  
და მიგველო.

მართლაც, თეორიული მოსაზრებებით და პრაქტიკული  
გამოცდილების საფუძველზე ნაკელის ყოველწლიურ დაგრო-  
ვებას ერთ თავ მსხვილ რქოსან საქონელზე, ბაგური კვების  
ხანგრძლიობის მიხედვით, შემდეგნაირად ანგარიშობენ:

### ცრილი 3

#### ნაკელის დაგროვება ბაგური კვების ხანგრძლიობის მიხედვით

ბაგური კვების ხანგრძლიობა (დღეები)	220— —240	200— —220	180— —200	180-ზე ნაკლები
ნაკელის წლიური რაოდენობა ერთ თავ მსხვილ რქოსან საქონელზე (ტონობით)	10	9	6—8	4—5

ასე რომ, საქონლის ბაგური კვების ხანგრძლიობა დასავ-  
ლეთ საქართველოში სულ მცირე 3 თვე, ხოლო აღმოსავლეთ  
საქართველოში 4 თვე რომ ჩავთვალოთ, ე. ი. ავილოთ ისე-  
თი პერიოდი, როცა საქონლის საძოვრად გარეჯა შეუძლე-  
ბელია უამინდობის გამო და იმიტომ, რომ საძოვარზე ბა-

ლახი ამ დროს თითქმის არ მოიპოვება, ნაკელის დაგროვებული ერთ თავ მსხვილფეხა საქონელზე უნდა უდრიცემა და დაგროვებული საქართველოში 2—2,5 ტონას, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 3—4 ტონას მაინც.

ფაქტიურად, როგორც აღვნიშნეთ, დაგროვილი და სასუქად გამოყენებული ნაკელის რაოდენობა ბევრად ნაკლებია. ამის პირველი მიხედვი ის არის, რომ როგორც აღმოსავლეთ, ისე მით უფრო დასავლეთ საქართველოში საქონლის ბაგური კვების პერიოდი სინამდვილეში ზემოაღნიშნულზე კიდევ უფრო ხანმოკლეა; მეორე მიხედვი არის ნაკელის მშრალი ნივთიერების ის დიდი დანაკარგი, რომელიც დაკავშირებულია ნაკელის და წუნწუხის ამჟამად გამოყენებულ უვარების წესებთან; ხოლო მესამე, შეიძლება ითქვას, მთავარი მიხედვი ის არის, რომ ფერმებში საქონლის ფეხქვეშ საფეხს მეტად მცირე რაოდენობით იყენებენ, ხოლო მთელ რიგ რაიონებში, როგორც, მაგალითად, დასავლეთ საქართველოში, სრულებით არ ხმარობენ. ამ პირობებში მოლიანად იკარგება საქონლის თხიერი განავალი, რაც ნაკელის საერთო რაოდენობას დაახლოებით 30 პროცენტით ამცირებს და მასთან დიდად აუარესებს ის ხარისხს, რაღაც საქონლის შარდი სამ-ოთხჯერ უფრო მეტ აზოტს და თთოორმეტჯერ მეტ კალიუმს შეიცავს, ვიდრე განავალის მაგარი ნაწილი. საფეხის გამოყენებით უმჯობესდება საქონლის მოვლის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და, მაშასადამე, მისი პროცენტიულობაც. ამის გარდა, საფეხის დანიშნულება არის, რაც შეიძლება მთლიანად შეიწოვოს თხიერი განავალი და დაიცვას ნაკელი ყველაზე ძვირფასი შემაღებენელი ნაწილის — ამონიაკური აზოტის დანაკარგებისაგან. ამის გარდა, საქონლის ფეხქვეშ საფეხნად გამოყენებული მასალა მთლიანად ნაკელში გადადის და აღიდებს მეურნეობაში დაგროვილი ნაკელის რაოდენობას.

ამიტომ ერთ-ერთი უმთავრესი ღონისძიება, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ ნაკელის რაოდენობა და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, არის საქონლის ფეხქვეშ საფეხის მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობით გამოყენება.



საფენად შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფრო და გარეული ნარჩენი, რომელსაც სითხის შეწოვის მაღალ უნარი აქვს. ასეთია: თავთავიანი პურეულის წვრილად და-ჭრილი ჩალა, კარტოფილისა და სხვა მცენარეების საკვებად გამოუსადეგარი ფოჩი, ფოთლები, ნახერხი და სხვა. საუკე-თესო საფენს წირმოადგენს ტორფი. ას წილ ჰაერმშრალ ტორფს, რომელიც 60%-მდე წყალს შეიცავს, შეუძლია შეი-წოვოს 500-დან 1000-მდე წილი სითხე, პურეულის ჩალას— 180-დან 280-მდე, ნახერხს 400-ზე მეტი და ა. შ. საფენის სავარაუდო ნორმები ქვემოთ ცხრილში შოგვყავს:

#### ცხრილი 4

საფენის სავარაუდო ნორმები (კვ-ობით) ერთ თავ საქონელშე  
დღე-ღამეში

საქონლის დასახელება	პურეულის ჩალა	ჩავსის ტორფი	ბალახეულის ტორფი
ცხენი მსხვილ-ფეხა რქოსანი საქონელი	3—4	2,5—5,0	4—8
ცხვარი ღორი	3—5 0,5—1 1,0—1,5	3,0—6,0 1,0—1,5 1,5—3,0	5—10 არ იხმარება "

ჩვენში იშვიათი არა ისეთი მაგალითები, როცა პურეულის ზეღმეტი ჩალა წლების მანძილზე მინდვრად რჩება, ფუჭდება და საბოლოოდ მას წვავენ, ხოლო ფერმებში საფენად ჩალას თითქ-მის არ იყენებენ. ბევრია ისეთი რაიონიც, საღაც მოიპოვება ტორფის შინიშვნელოვანი საბაზოები, მაგრამ მას ჯერჯერობით არ იყენებენ ან თუ იყენებენ—უმნიშვნელო რაოდენობით. სა-ქართველოში ისეთი სამრეწველო მნიშვნელობის ტორფნარე-ბის გარდა, როგორიცაა: ქობულეთის, ზუგდიდის, ფოთის და სხვა საბაზოები, არსებობს ისეთი ტორფნარებიც, რომლებ-საც აქვს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა. ასეთი ტორ-ფი არის, მაგალითად, ბოგდანოვკის, ბაკურიანის, ღმანისის, თიანეთის და რიგ სხვა რაიონში. ეს ტორფი ჰირველ რიგში გამოყენებული უნდა იქნეს საფენად და აგრეთვე ტორფ-კომპოსტების დასამზადებლად. ტორფის საფენზე მი-ღებული ნაკელის ხარისხი ბევრად უკეთესია, ვიდრე, მაგა-



ლითად, პურეულის ჩალის საფენად გამოყენების შემთხვევაში.  
მასთან ტორფის საფენად გამოყენება აღიდებს ძობების წევლადობას, რადგან უმჯობესდება ფერმაში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები. ბოსელში, სადაც საფენად ტორფს იყენებენ, ჰაერი უფრო სუფთაა, ვიდრე იქ, სადაც ჩალის საფენს ხმარობენ, ან მით უფრო იქ, სადაც საქონელი სრულიად უსაფენოდაა. ეს, სხვათა შორის, იმითაც აიხსნება, რომ ტორფს აქვს არა მარტო სითხის მაღალი შეწოვის უნარი, არამედ ის დიდი რაოდენობით შთანთქავს ატმოსფეროდან აირებს, კერძოდ, 4—5-ჯერ მეტ ამონიაკს შთანთქავს ატმოსფეროდან, ვიდრე პურეულის ჩალა. ამის გამო საქონელი ნაკლებ ავადდება, უკეთ ინელებს საკვებს და მეტ პროდუქციას იძლევა. მაგალითად, რუსეთის სსფრ ივანოვის ტორფის საცდელ მინდორზე ასეთი შედეგი მიიღეს: 80 ტონაზისაგან შემდგარმა ჯოგმა, რომელსაც ფეხქვეშ ტორფი ჰქონდა დაფენილი, ერთ კვირაში 11 ვედრით მეტი რძე მოიწველა, ვიდრე იმავე ჯოგმა პურეულის ჩალის საფენად გამოყენების დროს.

უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ნაკელის შენახვის წესების დაცვას. ნაკელის წესიერი შენახვა შეიძლება მხოლოდ საამისოდ მოწყობილ სანაკელები. მაგრამ სანაკელები ჩაყრილი ნაკელიც შესაფერის მოვლას საჭიროებს, რომლის გარეშე მისი ხარისხი მკვეთრად უარესდება. აკად. დ. ნ. პრიანიშნიკოვის მიხედვით, 6—7 თვის განმავლობაში შედარებით კარგად, ოლონდ დაუბეკნავად შენახული ნაკელიდან იკარგება აზოტის 30 პროცენტი. ჩვეულებრივ პირობებში, როცა ნაკელი შენახვის პერიოდში შრება და წუნწუხი იკარგება, აზოტის რაოდენობა ნაკელში დაახლოებით 50 პროცენტით მცირდება, მასთან იკარგება უმთავრესად აზოტის მინერალური ხსნადი შენაერთები (ამონიაკი), ე. ი. მცენარისათვის ყველაზე უფრო აღვილად შესათვისებელი აზოტი და რჩება აზოტის ის ნაწილი, რომელიც შედის რთულ ორგანულ შენაერთებში—ცილებში, ამიდებში და სხვ., რომელიც საჭიროებენ ხანგრძლივ დროს დაშლისა და მცენარისათვის შესათვისებელ ფორმებში გადასცლისათვის.

ინგლისში, საღაც მეცხოველეობა, როგორც ცნობილია, კარგად არის განვითარებული და ნაკელის შენახვის წესებს იცავენ, ერთმა მეცნიერმა (ფელკერმა) ასეთი ცდა ჩაატარა: ნაკელი დაყრილ იქნა სამ გროვად: ერთი სახურავის ქვეშ, მეორე ცის ქვეშ, ოლონდ სქელ გროვად, მესამე კი აგრეთვე ცის ქვეშ, მაგრამ თხელ, ფხვიცე ფენად. ტენის პროცენტი ახალ ნაკელში, ცდის დაწყებამდე უდრიდა 66,2 პროცენტს, ცდის დამთავრების შემდეგ კი იყო: პირველ გროვაში 41,0, მეორეში — 74,3, ხოლო მესამეში 65,6 პროცენტი. მშრალი ნივთიერების და აზოტის დანაკარგი საწყის რაოდენობასთან შედარებით შემდეგი პროცენტით გამოიხატა:


#### ცხრილი 5

მშრალი ნივთიერების და აზოტის დანაკარგი (პროცენტობით) ნაკელის  
სხვადასხვა წესით შენახვის დროს

ნაკელის შენახვის წესი	მშრალი ნივთიერების დანაკარგი	აზოტის დანაკარგი
სახურავქვეშ დაყრილი	34,0	14
ცის ქვეშ სქელ ფენად დაყრილი	46,8	30
ცის ქვეშ თხელ ფენად დაყრილი	41,5	64

ამრიგად, სახურავქვეშ დაყრილი ნაკელი, რომელსაც შენახვის პერიოდში არ რწყავდნენ, საგრძნობლად გამოშრა, რამაც შეაფერხა მისი გახრწნა, თუმცა ამავე დროს შეამცირა აგრეთვე აზოტის დანაკარგიც. ცის ქვეშ თხელ ფენად დაყრილი ნაკელიდან დაიკარგა აზოტის საერთო რაოდენობის დაახლოებით ორი მესამედი: დიდი ნაწილი აზოტისა გამოირეცხა წვიმებისაგან, ნაწილი კი აქროლდა ჰაერში. ასე რომ ნაკელის „შენახვის“ სწორედ ის წესი, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საყოველთაოდ გავრცელებულია საქართველოში, ე. ი. მისი ცის ქვეშ, ფერმასთან უწესრიგო პატარა გროვებად დაყრა, გვაძლევს აზოტისა და კალიუმის უდიდეს დანაკარგებს. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ იმ ნაკელში, რომელსაც ჩვენ ამჟამად ვიყენებთ სასუქად, უმეტეს შემთხვევაში რჩება აზოტის მხოლოდ დაახლოებით  $\frac{1}{3}$  და კალიუმის ნახევარზე ნაკლები.

მაგრამ ნაკელის ხარისხის გაუარესება, მისი გაუმჯობესების შესაბამის საკვებ ნივთიერებათა დიდი დანაკარგები მარტო დაგროვება-შენახვის პერიოდით როდი ამოიწურება. დიდი რაოდენობით იკარგება ნაკელიდან აზოტი აგრეთვე იმ შემთხვევაშიაც, როცა მინდვრად გაზიდულ ნაკელს პატარ-პატარა გროვებად ყრიან, ხოლო ნაკვეთზე გაშლილ, გაფანტულ ნაკელს დაუყოვნებლივ ჩახნავენ ან ჩაბარავენ ნიადაგში. თუ გაშლილი ნაკელი ნიადაგში მაშინვე არ ჩაიხნა, ნაკელის აზოტის ყველაზე უფრო ძვირფასი ნაწილი—ამონიაკი სწრაფად ქროლდება ჰაერში, მეტადრე მშრალი, ცხელი და ქარიანი ამინდის დროს. ასე რომ სულ 1—2 დღის განმავლობაში ნაკელიდან იკარ-




სურ. 1. ნაკელის შტაბელის დაწყობა მინდორში (ნაკელს ამატებენ ტორფს და ფოსფორიტის ფქვილს)

გება აზოტის მთელი რაოდენობის 10—15 პროცენტი მაინც. ასეთი ნაკელის მოქმედება მოსავლიანობაზე მნიშვნელოვნად მცირდება.

ბოსელში ან თავლაში ნიშადურის არასასიამოვნო სუნი, სანაკელებე დაყრილი ნაკელის სწრაფი „წვა“ და მისი ზედაპირიდან ინტენსიური აორთქლება, ხოლო წვიმების შემდეგ ნაკელიდან მუქი სითხის გამოუონვა, მინდვრად გაშლილი ნაკე-

ლილან „ოხშივარის“ ასვლა და მისი სწრაფი უგრძელესობა — ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ ნაკელი სწორად არ არის შენახული და გამოყენებული.

კარგი ხარისხის ნაკელი რომ მივიღოთ, ამისათვის აუცილებლად საჭიროა საფენის გამოყენება; თავლიდან ან ზოლიდან ნაწრეტი წუნწუხის ცალკე ჭაში შევროვება; ნაკელის შენახვა სანაკელეში დატკეპნილ მდგომარეობაში ისე, რომ შენახვის პერიოდში იგი არ გამოშრეს და თანაც წვიმებისაგან არ გამოირეცხოს; მინდვრად წინასწარ გაზიდული ნაკელი, მის გაშლამდე, უნდა დაიყაროს სწორ შტაბელებად, რომლის სიგანე იქნება 3—4 მეტრი, სიმაღლე 1,5—2 მეტრი,



სურ. 2. ღია სანაკელე ნიკოლაევის ოლქის, ბაშვანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში

ხოლო სიგრძე ნებისმიერი. შტაბელს ქვევით, მიწაზე უნდა დავუფინოთ 20—30 სმ-ის სისქის ნამჯის ან კარგად განიავებული, ჰაერმშრალი ტორფის-ფენა, შტაბელი კარგად უნდა დაიტკეპნოს და ზემოთ უნდა დაეყაროს ტორფის ან ნამჯის 30 სმ-იანი ფენა. ბოლოს, გასანოყიერებელ ფართობზე გაფანტული ნაკელი დაუყოვნებლივ უნდა ჩაიხნას ნიადაგში.

ნაკელი აუცილებლივ სანაკელეში უნდა მოქმედოდეს  
 წესიერად მოწყობილი სანაკელე კოლმეურნეობის და საბ-  
 ჭოთა მეურნეობის საერთო კულტურული დონის კარგი მაჩ-  
 ვენებელია. ყველა საკოლმეურნეო ფერმასთან მოწყობილი  
 უნდა იქნეს ცალკე სანაკელე, რომელიც შეეფერება კულ-  
 ტურულ სოციალისტურ მიწათმოქმედებას. სანაკელეს მოწ-  
 ყობა მეტად ადგილი საქმეა, მისთვის საჭიროა მხოლოდ  
 სულ მცირე ადგილობრივი მასალა, რომელიც ყველა კოლ-  
 მეურნეობაში მოიპოვება, და მუშახელი.

სანაკელე უნდა მოეწყოს მეცხოველეობის ფერმიდან  
 დაახლოებით 50 მეტრის დაშორებით, სასურველია ქარები-  
 საგან დაცულ და ცოტა შემაღლებულ ადგილზე. სანაკელეს  
 ორივე გრძივ მხარეზე თავიდანვე უნდა დაირგას სწრაფ-  
 მოზარდი ფოთლოვანი ხის ჯიშები, რომელიც დაიცავენ მას  
 ქარებისა და სიცხისაგან.

სანაკელე გაანგარიშებული უნდა იქნეს საქონლის რა-  
 ოდენობის და ბაგური კვების ხანგრძლიობის მიხედვით. ამას-  
 თან მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, თუ რამდენჯერ  
 გაიზიდება ნაკელი სანაკელედან. საქართველოს პირობებში  
 მიზანშეწონილია ნაკელის ორჯერ გაზიდვა: ერთხელ—შემოდ-  
 გომა-ზამთარში—მზრალად ხვნის წინ, ხოლო ვენახებში, ხე-  
 ხილის ბაღებში, ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს პლანტაციებში  
 ნიადაგის ხენის დროს და მეორედ—ადრე გაზაფხულზე, მზრა-  
 ლის აოშვის ან ადრეული ანეულის ხვნის დროს. გაზაფხულ-  
 ზე ნაკელი გამოიყენება უმთავრესად საკარტოფილე და სა-  
 ბოსტნე ნაკვეთებზე ან სახორბლე მინდორზე. პირველი გა-  
 ზიდვის დროს სანაკელეში დაგროვილი იქნება წლიური რა-  
 ოდენობის დაახლოებით ერთი მესამედი, მეორე გაზიდვის  
 დროს კი ორ მესამედამდე.

სანაკელეს განი უნდა უდრიდეს 9 მეტრს, ნაკელის შტა-  
 ბელის სიმაღლე სანაკელეში უნდა იყოს 2 მეტრი, სიგრძე კი  
 დამოკიდებულია საქონლის სულადობაზე. თითო თავ მსხვილ  
 რქოსან საქონელზე უნდა ვიანგარიშოთ საშუალოდ 1,5 კვ-  
 მეტრი ფართობი.

მეცნიერებელების თითოეულ ფერმასთან უნდამომზეუწყობა  
ცალკე სანაკელე. ეს აუცილებელია როგორც ორგანიზა-  
ციულ-საწარმოო, ისე აგრონომიული მოსახრებებით, რაღ-  
ვან სხვადასხვა სახის საქონლის ნაკელი — მსხვილფეხა რქო-  
სანის, შვრილფეხა რქოსანის (ცხვარის, თხის), ლორის,  
ქათმის, ცხენის — განსხვავებული ხარისხისაა და შენახვის სხვა-  
და სხვა პირობის დაცვას მოითხოვს. მაგალითად, ცხენის  
ნაკელი საუკეთესო მასალა არის სათბურებისათვის, ქათმის  
ნაკელი კარგია ნათესების გამოსაკვებად და ა. შ. ამიტომ  
სხვადასხვა ნაკელის ერთად შერევა მიზანშეუწონელია.

აღმოსავლეთ საქართველოში სანაკელე ეწყობა ორმოში,  
რომლის სილრმე 1 მეტრი უნდა იყოს, დასავლეთ საქართ-  
ველოში კი, ტენიანობის პირობების და გრუნტის წყლის  
სიმაღლის მიხედვით, ორმოს სილრმე შეიძლება შემცირდეს 50  
სმ-მდე, ხოლო ზოგ შემთხვევაში სანაკელე უნდა მოეწყოს  
ნიადაგის ზედაპირზე. ორმოს კედლებს უნდა ჰქონდეს 45—  
50° დაჭანება. ორმოდან ამოყრილი მიწა უნდა დაიყაროს  
მის გრძივ მხარეზე იმგვარად, რომ გაკეთდეს თხემი. თუ  
ორმოს სილრმე 1 მეტრია, მაშინ თხემი კეთდება 0,5 მეტრის  
სიმაღლისა, ხოლო თუ 1 მეტრზე ნაკლებია, თხემის სიმაღლე  
მცირდება 0,25 მეტრამდე. ორივე გრძივ მხარეზე ორმოს  
სილრმე მის მთელ სიგანეზე თანდათანობით მცირდება და  
ბოლოს ნიადაგის ზედაპირის მიხედვით ოდნავ შემაღლებული  
კეთდება. ეს საჭიროა იმისათვის, რომ გაადვილდეს ტრან-  
სპორტის მოძრაობა სანაკელეზე და ამავე დროს სანაკელე-  
ში წყალი არ ჩავიდეს. ამავე მიზნით სანაკელეს გარშე-  
მო უკეთდება საწრეტი თხრილი.

კარგი სანაკელეს მოწყობის მთავარი პირობაა მისი  
ფსკერისა და კედლების უერნვადობა, ამისათვის საჭიროა  
სანაკელეს გულდაგულ მოტკეპნა 20—30 სმ-ის სისქეზე თი-  
ხით (აყალი მიწით). კიდევ უმჯობესი იქნება თუ თიხასთან  
ურთად გამოვიყენებთ ნაგვერდულს, ფიქალ ქვის და სხვა მა-  
სალას. სანაკელეს ერთ გვერდზე, ყოველი 10 მეტრის მან-  
ძილზე უნდა მოეწყოს 2 კუბმეტრის მოცულობის წუნწუ-

ხის შესაგროვებელი ჭა, ხოლო ჭების მიმართულების სამსახურის ფსკერს უნდა მიეცეს მცირე დაქანება.

სანაკელეში ნაკელი უნდა ჩაიყაროს იმგვარად, რომ ყოველი ახალი გროვის განი უდრიდეს 3 მეტრს, სიმაღლე კი დაბეკნის შემდეგ—1 მეტრს; როდესაც ნაკელი მთელ სიგრძეზე დაიყრება ერთმეტრიან ფენად, შემდეგ ამავე წესით მას ზემოდან დააყრიან მეორე ერთმეტრიან ფენას. სანაკელეში ჩაყრილი ნაკელი მაშინვე კარგად უნდა დაიტკეპონოს. ამას მივაღწევთ ნაკელის შტაბელზე იმავე ტრანსპორტის გატარებით, რომლითაც სანაკელეში ნაკელს ვეზიდებით.



სურ. 3. დაზურული სანაკელე მოსკოვის თლექის ისკრის რაიონის საბჭოთა მეურნეობაში „სნიგირი“

სანაკელეში სამ ასეთ შტაბელს აწყობენ: ჯერ ორივე კიდეში და, ბოლოს, სანაკელეს შუაში.

დასავლეთ საქართველოში, სადაც ხშირი და უხვი წვიმები იცის, სანაკელეს უნდა გაუკეთდეს ორუერდიანი სახურავი რაიმე ადგილობრივი იაფფასიანი მასალისაგან (ყავარი, ისლი, ჩალა და სხვ.). აღმოსავლეთ საქართველოში კი, სადაც ნალექების რაოდენობა შედარებით მცირეა, სანაკელეზე

სახურავის გაკეთება საჭირო არ არის, ოლონდა შტატების დამთავრების შემდეგ, ე. ი. როცა მისი სიმაღლე 2 მეტრს მიაღწევს, შტაბელს ზემოთ უნდა დავაყაროთ ნამჯის ან ტორფის 30—40 სმ-იანი ფენა, რათა ნაკელი დავიცვათ როგორც გამორეცხვის, ისე გამოშრობისაგან.

ნაკელი სანაკელები ინახება 5—6 თვის განმავლობაში. ნაკელის შენახვის დროს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში იგი უნდა იყოს მუდამ მკერივ და ტენიან მდგომარეობაში.

### ნაკელის წუნწუხი

ნაკელის წუნწუხი გროვდება ბოსელთან და სანაკელესთან მოწყობილ სპეციალურ ჭებში.

საქართველოში ამჟამად ნაკელის წუნწუხი ძალიან მცირე რაოდენობით გამოიყენება სასუქად, მეტი წილი შეუგროვებელი რჩება და არამცუუ უნაყოფოდ იკარგება, არამედ ქმნის ბოსელში და ნაკელის გროვის გარშემო ანტისანიტარიულ პირობებს. მეცხოველეობის პირობების გაუმჯობესება, კერძოდ, კეთილმოწყობილი ბოსლების აგება, სანაკელების მოწყობა და საქონლის ბაგურ კვებაზე თანდათანობით გადაყვანა გამოიწვევს ნაკელის წუნწუხის მეტ დაგროვებასაც. ამიტომ უახლოეს მომავალში ამ ორგანული სასუქის გამოყენება მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს.

ნაკელის წუნწუხის რაოდენობა, რაც კოლმეურნეობაში ან საბჭოთა მეურნეობაში შეიძლება დაგროვდეს, ძირითადად დამოკიდებულია საქონლის ბაგური კვების ხანგრძლიობაზე. ამ რაოდენობის გამოანგარიშების დროს მხედველობაში უნდა მიეკოლოთ ძირითადად რექსანი საქონელი. სანაკელები ცხენების ნაკელისაგან წუნწუხი მცირე რაოდენობით გამოიყოფა, იგი შეგროვდება უმთავრესად თავლასთან მოწყობილ შარდის შესაგროვებელ ჭაში.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით დავაგროვოთ მეურნეობაში წუნწუხი? ამისათ-



ვის მთავარი პირობა ის არის, რომ საქონლისთვერმა არ იატაკი კარგად იყოს მოტკეპნილი აყალო მიწით და შარდის საღინარებს საკმაო დაქანება ჰქონდეს იმ მხარისაკენ, სადაც წუნწუხის შესაგროვებელი ჭა არის მოწყობილი. თვით ჭის ფსკერი და კედლები წყალგაუმტარი უნდა იყოს, ზემოთ კი კარგად მორგებული ხუფი უნდა ჰქონდეს. ვიდრე ჭაში ჩაედინებოდეს, წუნწუხმა უნდა გაიაროს საშრეტი ორმო, სადაც იგი დაიწრიტება მოყოლილი მცენარეული ნარჩენებისაგან, რომელიც იწვევენ აზოტის დანაკარგების გადიდებას.

#### ცხრილი 6

ერთა ფური ბაგური კვების ხანგრძლიობის მიხედვით წელიწადში დააგროვებს წუნწუხის შემდეგ რაოდენობას (პრიანიშნიკოვის მიხედვით)

ბაგური კვების ხანგრძლიობა	წუნწუხის რაოდენობა (კუბური შეტრებით)
240 დღე	2,2
220 "	2,0
200 "	1,8
180 "	1,5

ნაკელის წუნწუხი ძირითადად აზოტ-კალიუმიანი სასუჯია: იგი შეიცავს საშუალოდ 0,2 პროცენტ აზოტს და 0,4—0,5 პროცენტ კალიუმს, ფოსფორმჟავა მასში უმნიშვნელო რაოდენობით არის. წუნწუხში როგორც აზოტი, ისე კალიუმი მოიპოვება ხსნარის სახით, ე. ი. ისინი მცენარისათვის ადვილად მისაწვდომია. ამიტომ მცენარე წუნწუხის აზოტს ისევე ადვილად ითვისებს, როგორც ნატრიუმის ან ამონიუმის გვარჯილას, კალიუმის შეთვისებადობაც ისეთივეა, რაც კალიუმის წყალსნაღი მარილებისა. ამ მხრივ ნაკელის წუნწუხი ნაკელზე ბევრად უფრო სწრაფად მოქმედი სასუჯია.

უდიდეს გავლენას ახდენს წუნწუხის ხარისხზე შენახვის სათანადო წესების დაცვა. წუნწუხი აზოტს შეიცავს ძირითადი შარდოვანას სახით, რომელიც ბაქტერიების მოქმედებით ადვილად განიცდის ამონიფიკაციას და წარმოქმნის ნახშირმჟავა ამონიუმს, ეს კი ჰაერზე იშლება და გამოყოფს წყალს

და მქროლავ ნივთიერებებს — ამიაკს და ნიმუშით განვითარება ამ პროცესის შედეგად აზოტი დიდი ორაოდენობით იყარგება ჰაერში. ამონიფიკაციის გამომწვევ ბაქტერიებს სჭირდება კარგად განიავებული ჰაერი. ამიტომ, რაც უფრო მეტი სივრცეში და ხანგრძლივად ეხება წუნწუხი ჰაერს, მით უფრო მეტია დანაკარგები. ასე რომ ნაკელის წუნწუხის ოოგორც შეგროვება-შენახვის, ისე ნიაღაგში შეტანის დროს უნდა ვეცალოთ მინიმუმამდე შევამციროთ აზოტის დანაკარგები. ამისათვის თვალყური უნდა ვადევნოთ, რომ შარლის საღინარი ბოსელში ან სანაკელეში დახშული არ იყოს და წუნწუხი შეუფერხებლიდ დიოდეს, წუნწუხის ჭაბ ხუფი კარგად მორგებული უნდა ჰქონდეს. ამის გარდა კარგია სითხის ზედაპირზე ჭაბი გაღამუშავებული ტექნიკური ზეთის მოსხმა, ისე, რომ მან შექმნას დაახლოებით 3 მმ-ის ფენა. ამისათვის საჭიროა 3 ლიტრი ზეთი ერთი კვ. მეტრ ფართობზე. ნაკელის წუნწუხის სასუქიდ გამოყენების დროს უნდა ვეცალოთ, რაც შეიძლება მეტად შევაძიროთ წუნწუხის შეხება ჰაერთან. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ თხიერი სასუქის შემტანი მცენარმკვები მანქანები, რომლითაც სითხე შეიტანება ნიაღაგში გარკვეულ სილრმეზე, ისე რომ ჰაერს არ ეხება.

წუნწუხი, ოოგორც სწრაფმოქმედი აზოტ-კალიუმიანი სასუქი, გამოიყენება უმთავრესად მცენარეთა გამოსაკვებად. განსაკუთრებით მიზანშეწონილია შისი გამოყენება ჩაის პლანტაციის, შაქრის ჭარბლის, ბოსტნეული კულტურების და მრავალწლიანი ნათესი ბალახების გამოსაკვებად. ჰექტარზე შეაქვთ 5–10 ტონა წუნწუხი, რომელსაც წინასწარ აზავებენ 2–3 წილი წყლით.

წუნწუხს იყენებენ აგრეთვე სხვადასხვა კომპოსტების, მაგალითად, ტორფ-კომპოსტების მომზადების დროს. ამ შემთხვევაში წუნწუხიდან აზოტის დანაკარგები მცირდება, თანაც წუნწუხი დადებითად მოქმედებს კომპოსტზე: ამდიდრებს აზოტით და აჩქარებს მომწიფებას, რადგან აცხოველებს მასში მიკრობიოლოგიურ პროცესებს.

კომპოსტი საუკეთესო ორგანული სასუქია. მისი მოქმედება ნიაღაგის ნაყოფიერებასა და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობაზე არ ჩამოუვარდება კარგი ხარისხის ნაკელის მოქმედებას.

რა არის კომპოსტი, როგორ მზადდება და გამოყენება იგი?

კომპოსტი წარმოადგენს მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნახევრადგახრწნილი მასის რთულ ნარევს, რომელიც თავისი ქიმიური შედგენილობით ნაკელს წააგავს. ზოგჯერ დასაკომპოსტებელ მასას ამა თუ იმ რაოდენობით ურევენ სხვადასხვა მინერალურ ნივთიერებასაც: მინერალურ სასუქებს, ნაცარს, კირს და სხვ. კომპოსტის მომზადების დროს ცდილობენ იგი იმგვარად შეაზიარონ, რომ დაშლისა და გახრწნის შემდეგ მთელი მასა ერთგვაროვანი და დაახლოებით ისეთივე შედგენილობის იყოს, როგორიც ნაკელია.

კომპოსტი ბევრნაირია. მეტად ცვალებადია მისი თვისებები, შედგენილობა, მოქმედება ნიაღაგზე და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობაზე. კომპოსტის ეს თვისებები, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია დასაკომპოსტებლად გამოყენებული მასალისა და კომპოსტის მომზადების წესზე. ამისდა მიხედვით, კომპოსტები შეიძლება შემდეგნაირად დავაჯვალოთ:

1) ტორფ-კომპოსტები, 2) ხელოვნური ნაკელი და 3) შერეული კომპოსტები.

კარგი ხარისხის კომპოსტი უნდა აქმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად პირობებს: იგი უნდა შეიცავდეს მცენარის მინერალური საკვების საკმაო რაოდენობას შესათვისებელ ფორმებში და ამ ნივთიერებათა მშთანთქმელ მასალას, რომელიც მათ გამორეცხვისაგან დაიცავს. ტორფ-კომპოსტებში ორივე როლს თვით ტორფი ასრულებს, ხელოვნურ ნაკელში – ნამჯა, შერეულ კომპოსტებში მცენარის მინერალური საკვების წყაროს სხვადასხვა ორგანული მასალის გახრწნის

პროდუქტები წარმოადგენენ, ხოლო მათ მშთანიშვილებული მასალას — ფენებად დამატებული გადამპალა, სათბურის მიწა, ჰუმუსით მდიდარი ნიადაგი და სხვა ამგვარი მასალა.

საკომპოსტე უნდა მოეწყოს საცხოვრებელი ბინებიდან 200—300 მ ღაშორებით. თუ მოსახერხებელია, საკომპოსტე ადგილი უნდა შევარჩიოს უშუალოდ იმ ნაკვეთის ახლოს, სადაც გათვალისწინებულია კომპოსტის შეტანა. საკომპოსტე ადგილი ოდნავ შემაღლებული უნდა იყოს, წყლის დატბორებისა და ნიადგრებისაგან დაცული; ნიადაგი რაც შეიძლება მძიმე შეღვენილობის უნდა იყოს: თიხა ან მძიმე თიხნარი. შერჩეულ ნაკვეთზე გრუნტის წყალი 1,5—2 მ-ზე ღრმად უნდა იყოს.

დასავლეთ საქართველოში, სადაც ნალექების დიდი ოადგენობა მოდის, საკომპოსტე ნიადაგის ზედაპირზე უნდა მოეწყოს. არჩეული ნაკვეთი უნდა მოითოხნოს, მოსწორდეს და დაიტკებნოს. ზემოდან საკომპოსტე გადახურული უნდა იქნეს საიმე იაფფასიანი მასალით (ჭილით, ისლით, ჩალით და სხვ.). დასაკომპოსტებელ გროვას გვერდებზე უნდა გაუკეთდეს ჩელტები, საკომპოსტე გროვის ფორმა სწორ ოთხკუთხედს უნდა წარმოადგენდეს—1,5—2 მ სიმაღლით და 2—3 მ განით, სიგრძე კი დამოკიდებული იქნება საკომპოსტე მასალის რაოდენობაზე.

აღმოსავლეთ საქართველოში საკომპოსტე უნდა მოეწყოს არა ნიადაგის ზედაპირზე, არამედ თხრილში ან ნახევრად თხრილში და ნახევრად მიწის ზემოთ. ამასთან წინასწარ უნდა იქნეს გათვალისწინებული კომპოსტის მორწყვის საჭიროება, რისთვისაც შერჩეული ადგილი წყლის მახლობლად უნდა იყოს. საკომპოსტე ორმოს სილრმე უნდა უდრიდეს 1,5 მ, განი 2—3 მ, ხოლო სიგრძე — საკომპოსტო მასის რაოდენობის მიხედვით აიღება. დასაკომპოსტებელი მასა თხრილში უნდა ჩაიყაროს დაახლოებით ½ მ სიმაღლემდე იმ ანგარიშით, რომ კომპოსტის მომწიფებისა და შასის დაჯდომის შემდეგ მთლიანად ორმოში მოექცეს ან მხოლოდ ოდნავ იყოს აცილებული ორმოს ზედაპირს. საკომ-

პოსტე თხრილის ფსკერი კარგად უნდა დაიტექსოს, ხოლის, თუ მიწა შედარებით მსუბუქია, მაშინ ფსკერი და კედლები თხით კარგად უნდა შეიღესოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ნიადაგი შეიწოვს კომპოსტიდან გამოყონილ ხსნად საკვებ ნივთიერებებს და კომპოსტის ხარისხი გაუარესდება.

საკომპოსტეს ორგორც სიგანით, ისე ორივე გრძივ მხარეზე უკეთდება წყლის საწრეტი კვალი 20—30 სმ სიღრმისა; თხრილის ნაპირები ოდნავ შემაღლებული უნდა იქნეს; ფსკერი შუაგულისაკენ ოდნავ ჩაჭრებილი კეთდება, კიდევებისაკენ კი ცოტა შემაღლებული.

დასაკომპოსტებელი მასალის ჩაყრა თხრილში ან მიწის ზედაპირზე მოწყობილ საკომპოსტეში ხდება ერთჯერად (ტორფ-კომპოსტები, ხელოვნური ნაკელი) ან თანდათანობით (შერეული კომპოსტები). უკანასკნელ შემთხვევაში მასალის გროვებად დაყრა ხდება ისე, რომ არსებული მასალით დაიყრება ჯერ ერთი გროვა მთელ სიმაღლეზე, მისი მოთავების შედეგ მეორე, შემდეგ მესამე და ასე გაგრძელდება მასალის რაოდენობის მიხედვით.

საკომპოსტე მასის გახრმა სწრაფად იმ შემთხვევაში მიმდინარეობს, როცა იგი საკმაოდ ტენიანია; გამომშრალ მასაში მიკრობიოლოგიური პროცესები წყდება და ობის სოკოები ვითარდება, რაც მეტად არასასურველია. ამიტომ კომპოსტი დროგამოშვებით უნდა მოირწყოს.

**ტორფ-კომპოსტები.** ტორფ-კომპოსტები აშეამად მნიშვნელოვანი რაოდენობით მზადდება, ისინი გამოიყენება მთლიანად ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების—ციტრუსების, ჩაისა და სხვ. გასანოენტრებლად, მაგრამ არსებობს საშუალებანი ტორფ-კომპოსტების მომზადების გასაფართოებლად როგორც დასავლეთ საქართველოში, ისე აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში, სადაც ტორფნარები მოიპოვება.

ტორფები სხვადასხვა ქიმიური შედგენილობისაა. დაბლობის ბალახეულის ტორფი, ხავსის ტორფთან შედარებით, ნაკლები მჟავე რეაქციით, ნაკრის ელემენტებითა და აზოტის მეტი სიმდიდრით ხასიათდება.

სარ კაფშირში სასუქად დაუკომპოსტებელი ტორფსაც იყენებენ. მაგრამ ამისათვის გამოსაღებია მხოლოდ დაბლობის ტორფი, როგორც უფრო გახრწნილი და მინერალიზებული, ვიდრე ხავსის ტორფი. საქართველოს პირობებში დაუკომპოსტებელი ტორფის გამოყენება სასუქად არაა მიზანშეწონილი, უმჯობესია მისგან სხვადასხვა სახის კომპოსტის მოშზაღება ან საფენად გაძოყენება.

საფენად იშმარება კარგად, 50—60 % ტენიანობამდე, გამომშრალი და დაქუცმაცებული ტორფი. ტორფის გამოყენებით მეურნეობაში დაგროვილი ნაკელის რაოდენობა შეიძლება ერთიორად გავაღილოთ.

ტორფისაგან შეიძლება დამზადებულ იქნეს ტორფ-ნაკელისა და ტორფ-წუნწუხის კომპოსტები. ტორფისათვის ნაკელის ან წუნწუხის დამატების მიზანია ტორფის გახრწნის დაჩქარება და მისი გამდიდრება აზოტით. ერთ ტონა ტორფს უმატებენ 100—500 კგ-მდე ნაკელს. შევევით დაყრიბან 20—30 სმ სისქის ტორფის ფენას, შემდევ ზემოდან დააყრიბა ნაკელს და კარგად ოურევენ, შემდევ ისევ ტორფს და ნაკელს და ა. შ. როდესაც საკომპოსტე გროვა საჭირო სიმაღლეს—2 მ მიაღწევს, ზემოდან დააყრიბან 30—40 სმ ფენის ტორფს. ტორფ-ნაკელის შერეულ ფენებს ცალ-ცალკე ოდნავ ტკეპნიან. ერთ-ორი თვის შემდევ კომპოსტის მასას ნიჩბით კარგად ოურევენ და დაუკეპნიან. 3—4 თვის შემდევ კომპოსტი მზადა ნიაღაგში შესატანად. ისევე როგორც ნაკელი, იგი გამოიყენება 20—30 ტონის ანგარიშით ერთ ჰექტარზე.

თუ კომპოსტის მოსამზადებლად ხავსის ტორფია გამოიყენებული, მაშინ მევიანობის გასანეიტრალებლად მიზანშეწონილია დაემატოს ფოსფორიტის ფქვილი 2,5—3 კგ ფოსფორმეტაფის ანგარიშით ერთ ტონა პაერმშრალ ტორფზე, ან 50—100 კგ ნაცარი ერთ ტონა პაერმშრალ ტორფზე.

ტორფ-წუნწუხის კომპოსტს ამზადებენ კარგად გამომშრალი ტორფის წუნწუხით ან შარდით გაედენთის საშუალებით. ყოველ ტონა მშრალ ტორფს უმატებენ 1—2 ტონა წუნწუხს ან შარდს.



ტორფ-ფექალის კომპოსტი მზადდება ფექალური მასის შიმატებით. დაკომპოსტება ხდება საკომპოსტებაში, რომლის განი უდრის 3—4 მ, ხოლო სიმაღლე 2,5 მ. ამ კომპოსტის მომზადების წესი ისეთივეა, რაც ტორფ-ნაკელისა. ტორფ-კომპოსტის დადებითი მოქმედება მცენარეზე უფრო ძლიერია, ვიდრე ნაკელის მოქმედება, ამიტომ იგი შედარებით ნაკლები დოზებით გამოიყენება, ვიდრე ნაკელი.

სსენებული ტორფ-კომპოსტების გარდა, ტორფისაგან შეიძლება მომზადდეს აგრეთვე კომპოსტები ფოსფორიტის ფქვილის, ნაცრის და სხვ. მასალის დამატებით. ამასთან ერთად, კომპოსტის მომწიფების დაჩქარების მიზნით, მიზანშეწონილია მას დაემატოს, თუნდაც მცირე რომენბით, ნაკელის წუნწუნი ან ნაკელი, რათა საკომპოსტე მასა გამდიდრებული იქნეს ბაქტერიული ფლორით.

შერეული კომპოსტები მეტად ცვალებადი შედგენილობისაა. საშუალოდ ისინი შეიცავენ  $0,3-0,5\%$  აზოტს,  $0,2-0,3\%$  ფოსფორმჟავას და  $0,2-0,3\%$  კალიუმს. კომპოსტის მოსამზადებლად იყენებენ სხვადასხვა მასალას: სარეველებს, პირუტყვის ნარჩენებს, შინასამეურნეო ნარჩენებს, მაგალითად, სამზარეულოს ნარჩენებს (ფოთლები, ნაფექვენები, ნაცარი და სხვ.). ამგვარი მასალის გამოყენების დროს ადგილად ხრწნადი ორგანული ნივთიერება ძნელად ხრწნადს არ უნდა შევურიოთ. დასაკომპოსტებელი მასალა რაც შეიძლება კარგად უნდა იყოს დაქუცმაცებული. ეს აჩქარებს მის გახრწნას.

საკომპოსტეს მოსაწყობად შერჩეული ადგილის ფსკერი რაც შეიძლება წყალგაუმტარი უნდა იყოს. ამისათვის მას აცლიან ორგანული ნივთიერებით შედარებით მდიდარ და ფხვიერ ზედა ფენას და კარგად ტკეპნიან.

დასაკომპოსტებელი მასის დაყრა საკომპოსტეში შრეობრივად წარმოებს. საკომპოსტეს ფსკერზე 10—15 სმ ფენად ყრიან წვრილბდ დაჭრილ ჩალას, ან ნამჯას, ან ტორფს, ანდა სათბურის მიწას და საერთოდ ისეთ მასალას, რომელსაც სითხის კარგი შეწოვის უნარი აქვს. მას ზემოდან დააყ-

რიან დასაკომპოსტებელი შერეული დაქუცმაცემული მისამართისალი  
30 სმ ფენას, შემდეგ—10—15 სმ ფენას იმგვარივე ნივთიერებისაგან, რომელიც ფსკერზე დაიყარა, კვლავ დასაკომპოსტებელი მასალის 30 სმ ფენას და ო. შ., ვიდრე გროვა არ მიაღწევს დაახლოებით 2 მ სიმაღლეს. გროვის ზემოდან უნდა დაფაყაროთ ნამჯის, ტორფის ან სხვა ამგვარი მასალის 15—20 სმ ფენა.

დაკომპოსტების პერიოდში კომპოსტი უნდა მოირწყას 2—3-ჯერ, რათა მთელი მასა მუდამ საკმაოდ ტენიანი იყოს. პირველი შესველება ტარდება დასაკომპოსტებელი მასალის თითოეული ფენის დაყრის დროს. ამისათვის იყენებენ ჭყალს, ან ნაკელის წუნწუხს. დასაკომპოსტებელ მასაზე სითხეს ერთბაშად კი არ ასხამენ, არამედ თანდათანობით, ისე რომ იგი კარგად შეიწოვოს საკომპოსტე მასალამ. რამდენიმე დღის შემდეგ საკომპოსტე მასა შეხურდება; ამას იმაზე ამჩნევენ, რომ კომპოსტს ორთქლი ასდის. მაშინ დაყრილ ფენას დატკეპნიან და მეორე ფენის გადააფენენ. დადგმულ საკომპოსტე გროვაში დაკომპოსტების დროს საჭიროა ერთხელ ან ორჯერ მთელი მასის ერთმანეთში ნიჩბით ან ფიტლით კარგად არევა. ამის შემდეგ კომპოსტს რწყავენ და ტკეპნიან.

დასაკომპოსტებელი მასალის ოვისებების მიხედვით, დაკომპოსტება გრძელდება 2—3 თვიდან ერთ წლამდე. როდესაც კომპოსტის მთელი მასა ერთგვაროვანი გახდება, მუქ ყავისფერს მიიღებს და მცენარეული ნაშთები მასში აღვილად წყდება, მაშინ იგი მზადად გამოსაყენებლად.

ხელოვნური ნაკელი. ხელოვნური ნაკელი კომპოსტის ერთ-ერთი სახეობა. მის მოსამზადებლად იყენებენ საქონლის საკვებად გამოუსადევარ ნარჩენებს: წინა წლიდან დარჩენილ ჩალას, ნამჯას, ბზეს, ნაწვერალის განათიბს და სხვა ისეთ მცენარეულ ნარჩენებს, რომელნიც ფერმაში საქონლის ფეხქვეშ საფენად არ იხმარება. საერთოდ ასეთი მასალა პირველ რიგში საფენად უნდა იქნეს გამოყენებული, ხოლო ზედმეტი რაოდენობისაგან შეიძლება დავამზადოთ კომპოსტი,



რომელიც წარმოადგენს საუკეთესო ორგანულ უფასოებს, მის შემცენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე ნაკელის მოქმედებას არ ჩამოვარდება. ამიტომაც მას ხელოვნურ ნაკელს უწოდებენ. ხელოვნური ნაკელისათვის ამგვარი მასალა ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში გვაქვს. ამიტომ აქ შევჩერდებით მისი დამზადების ისეთ წესზე, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში გამოდგება.

გასანიუიერებელ მინდორთან, ეგრეთვე წყალთან რაც შეიძლება ახლოს (საჩუავ არხთან, რუსთან და სხვ.) ამოთხრიან 1—2 მ სიღრმისა და 3 მ სიგანის თხრილს; თხრილის სიგრძეს უფარდებენ დასაკომპოსტებელი მასალის რაოდენობას.

საკომპოსტებენ მიზიდავენ ჩალას, რომელიც წვრილად, 10—15 სმ-ზე უნდა იყოს დაჭრილი. ჯერ საკომპოსტეს ფსკერზე დაყრიან ამ მასის 20—30 სმ-ის სისქით და მას მშრალი მასის წონის მიხედვით შეურჩევენ 0,4—0,6 პროცენტ აზოტს (სუფთა საკედ ნივთიერებაზე ანგარიშით). აზოტიანი სასუქებიდან უმჯობესია შარლოვანას გამოყენება; თუ ეს სასუქი არა გვაქვს, მაშინ შეიძლება ამონიუმის სულფატის ან ამონიუმის გვარჯილის გამოყენება, ოლონდ ამ შემთხვევაში სასურველია ფოსფორიტის ფქვილის მიმატებაც 0,3% ფოსფორმჟავას ანგარიშით მშრალი ჩალის წონის მიმართ. მინერალური სასუქების მაგიერ შეიძლება ორგანული სასუქის—გადაუმწვარი, ახალი ნაკელის გამოყენება. საუკეთესო შეფარდება იქნება ნახევარი ნაკელი და ნახევარი ჩალა (წონით). ნაკელის სიმცირის შემთხვევაში შეიძლება მისი რაოდენობის შემცირება ერთ მეხუთედამდე, ე. ი. ერთ ტონა მშრალ ჩალაზე 200 კგ ნაკელის აღება. კარგად შერჩევის შემდეგ დაყრილ გროვას ასველებენ წყლის იმდენივე რაოდენობით, რამდენსაც დასაკომპოსტებელი ჩალა იწონის. წყალს თანდათანობით უმატებენ ისე, რომ ჩალამ ის მთლიანად კარგად შეიწოვოს. ამგვარ ფენებად იწყობენ ჩალას, სანამ მისი სიმაღლე არ მიაღწევს 2—3 მ. თუ ამოთხრილი ორმო ერთი მეტრის სიღრმისაა, მაშინ კომპოსტის გროვას 2 მ-მდე ამოიყვანენ, თუ 2 მეტრის სიღრმისაა—3 მ-მდე. ორი დღის შემდეგ საკომპოსტე მასას კვლავ მოწყავენ წყლის იმდენივე რაოდენობით, როგორც პირველად.

დაახლოებით 3 თვის შემდეგ ხელოვნური ნაკელი მზა-  
და; მას მუქი ყავისფერი აქვს, ჩალა აღვილად წყდება.

თუ ხელოვნური ნაკელი კარგად არის მომზადებული,  
იგი შეიცავს დაახლოებით იმდენსავე აზოტს, რამდენსაც ნაკე-  
ლი, ე. ი. ტენიანი მასის  $0,5\%$ -მდე და მშრალი მასის  $2-$   
 $2,5\%$ -მდე. ხელოვნური ნაკელი აზოტის გარდა შეიცავს  
 $1,5\%$ -მდე ფოსფორმჟავას და  $3\%$ -მდე კალიუმს.

### მდგრადი სასუქი

მწვანე სასუქი, როგორც ნიადაგის ნაყოფიერების გა-  
მადიდებელი ლონისძიება, დიდი ხანია ცნობილია და გამოყენე-  
ბული. მას 300 წელზე მეტია, რაც იყენებენ აღმოსავლეთის  
ხალხები—ჩინელები, ინდოელები. ცნობილი იყო იგი აგრეთ-  
ვი ეგვიპტეში, ძველ რომში და სხვა ქვეყნებში.

მწვანე სასუქს თავის ნაწერებში იხსენიებენ ძველი რო-  
მაელი მწერლები—პლინი, ვარონი, კოლუმელა. მაგრამ ფარ-  
თო სამეურნეო გავრცელება ამ ლონისძიებამ მარტო XIX  
საუკუნის მეორე ნახევრიდან მიიღო. სამეურნეო მასშტაბით  
წარმოებული ცდები წარსული საუკუნის სამოციან წლებს  
ეკუთვნის. მწვანე სასუქს პირველხანად იყენებდნენ ისეთი  
ქვიშნარი ნიადაგების გასაკულტურებლად, რომლებზეც სამ-  
ყურა არ ვარგობდა. ამ ნიადაგების გაუმჯობესება შესაძლე-  
ბელი გახდა მწვანე სასუქად ხანჭკოლის გამოყენებით. ამ  
მიზნით გამოყენებული იყო ჯერ ყვითელი ხანჭკოლა, შემდეგ  
ლურჯი, ანუ ვიწროფოთლიანი ხანჭკოლა.

რევოლუციამდელ რუსეთში მწვანე სასუქს ძალიან ცო-  
ტა გავრცელება ჰქონდა; მწვანე სასუქად ხანჭკოლას თესავდ-  
ნენ უმთავრესად რუსეთის დასავლეთ რაიონებში, ქვიშნარი  
ნიადაგების ნაყოფიერების გასადიდებლად. დიდი ოქტომბ-



რის რევოლუციის შემდეგ ეს პროგრესული ღონიშვილები ფართოდ გავრცელდა და დიდი სამამულო ომის დაწყებამდე მწვანე სასუქი ითესებოდა დაახლოებით 300 ათას ჰექტარ ფართობზე. მას დიდი სარგებლობა მოაქვს არა მარტო ქვიშნარი და ეჭერი ნიადაგების ნაყოფიერების გადიდების საქმეში, არამედ იგი ფართოდ გამოიყენება სხვა დაბალნაყოფიერ, ორგანული ნივთიერებითა და აზოტით ლარიბ ნიადაგებზე.

მწვანე სასუქი, ანუ სიცერაცია, ისეთი აგრონომიული ღონისძიებაა, რომლის დროს ნიადაგის გასანოყიერებლად იყენებენ საამისოდ სპეციალურად დათესილი მცენარეების მწვანე მასას, რომელსაც ან მთლიანად ჩახნავენ ნიადაგში, ან საკვებად გათიბავენ და, რაც დარჩება ან წამოიზრდება (აქვიტი), იმას ჩახნავენ. ასეთი მცენარეებიდან ყველაზე უფრო მეტად გავრცელებულია სხვადასხვა ხანჭკოლა (ლურჯი, ყვითელი, თეთრი) და ჩიტოფეხა ანუ სერადელა.

მწვანე სასუქი, ისევე როგორც ნაკელი, სრული ორგანული სასუქია, რაღაც მცენარეული მასა, რომელსაც ამ შემთხვევაში სასუქად ვიყენებთ, შეიცავს, ცხადია, ყველა იმ ნივთიერებას, რომლითაც მცენარე იკვებება და თავის სხეულს ქმნის.

20 ცონა მწვანე სასუქის მოქმედება უდრის ამდენივე კარგი ხარისხის ნაკელის მოქმედებას ან 300—500 კგ ამონიუმის გვარჯილის და 100—200 კგ სუპერფოსფატის მოქმედებას. ამას გარდა, მწვანე სასუქი მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს კალიუმსაც. მაგრამ მინერალური სასუქებისაგან განსხვავებით, მწვანე სასუქი შეიცავს ორგანულ ნივთიერებას, რომელსაც თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ნაყოფიერებისათვის.

ამიტომაც ჩახნული მწვანე მასა უდიდეს ჭავლენას ახდენს ნიადაგის ნაყოფიერებაზე: ნიადაგში იზრდება ნეშომპალისა და საკვებ ნივთიერებათა მარაგი, უმჯობესდება ნიადაგის სხვა თვისებებიც: მატულობს ტენტევალობა და შეალგამტარობა, უმჯობესდება ნიადაგის სტრუქტურა; მძიმე თიხა ნიადაგების დამუშავება იოლდება; უმჯობესდება მსუბუქი

ქვიშნარი ნიადაგების წყლის რეჟიმი. მწვანე სასუქის ჩახვნის  
იწვევს ნიადაგში ბაქტერიების მოქმედების გაცხოველებას,  
რაც აუცილებელი პირობაა ნიადაგის ნაყოფიერებისათვის.

საქართველოში ჩატარებულმა ცდებმა გვიჩვენა, რომ  
მწვანე სასუქი შემდეგი რაოდენობით აღიდებს მოსავლია-  
ნობას ერთ ჰექტარზე: შაქრის ჭარხლისას — 50—100 კ-ით,  
თამბაქოსი, მარტო ფესვებისა და სანაწვეროლო ანარჩენების  
ჩახვნის შემთხვევაში — 1,5—2 კ-ით, ხოლო მთელი მწვანე  
მასის ჩახვნის შემდეგ — 3—5 კ-ით, სიმინდისა — 6—10 კ-ით  
და ა. შ. მოყვანილი ციფრები გვიჩვენებს მწვანე სასუქის  
მოქმედებას პირველ წელს, ე. ი. ჩახვნის შემდეგ დათესილ  
პირველ კულტურაზე. მწვანე სასუქის მოქმედება კი გრძელ-  
დება 3—4 წელს მაინც. ამიტომ მოსავლის საერთო მატება  
ამ ხნის მანძილზე გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ზემოთ  
დავსახელეთ. მაგალითად, გარდაბნის ველის ღია წაბლა საბრწ-  
ყავ მიწებზე მწვანე სასუქის მოქმედება ოთხი წელი გრძელ-  
დება და სიმინდის მარცვლის მოსავლის საერთო მატება  
უდრის 27 კ ერთ ჰექტარზე. ასევე დიდია მწვანე სასუქის  
მოქმედება სხვა ნიადაგებზეც.

მწვანე სასუქად იყენებენ უმთავრესად პარკოსან მცენარე-  
ებს. აღმოსავლეთ საქართველოში გამოსადეგია ცულისპირა,  
ბარდა, ცერცველა, ზოგ შემთხვევაში — სოია, ხოლო დასავლეთ  
საქართველოში — ხანჭკოლა (ყვითელი, ლურჯი და თეთრი),  
სოია, ჩიტეხა, ცულისპირა, კურდლლისფრჩილა და სხვ.

მწვანე სასუქად პარკოსნების გამოყენებას, სხვა ოჯა-  
ხების მცენარეებთან შედარებით, ის დიდი უპირატესობა  
აქვს, რომ პარკოსნები ძირითადად ატმოსფეროს თავისუფა-  
ლი აზოტით საზრდოობენ, რაც მათ ფესვებზე დასახლე-  
ბული კუურის ბაქტერიების მეშვეობით ხდება. ამიტომ პარ-  
კოსნები არ აღარიბებენ ნიადაგს აზოტით, პირიქით, მნიშვ-  
ნელოვნად ამდიდრებენ მას.

სხვადასხვა პარკოსან მცენარეს შეუძლია დააგროვოს ერთ  
ჰექტარზე 100—200 კგ სუფთა აზოტი, ე. ი. იმდენი აზოტი, რამ-  
დენსაც შეიცავს 25—50 ტონა ნაკელი, ან 3—6 ცენტინერი ამო-  
ნიუმის გვარჯილა, ან 5—10 ცენტინერი ამონიუმის სულფატი.

საქართველოში მწვანე სასუქისათვის საქართველოს მწვანე დამოუკიდებელი მინისტრის დაკავება, რაღაც მწვანე სასუქად ესა თუ ის მცენარე შეიძლება დავთესოთ როგორც შუალედი კულტურა, მაგალითად, საშემოდგომო ხორბლის, ან ქერის მომკის შემდეგ, და გამოვიყენოთ სანაწერალო პერიოდი მზრალის მოხვნამდე. ზოგ შემთხვევაში, თუ მომდევნო საგაზაფხულო კულტურა გვიან ითესება, როგორც, მაგალითად, თამბაქოს შემთხვევაში, მწვანე სასუქი შეიძლება დაითესოს შემოდგომით და ჩაიხნას გაზიარებულზე. სანაწერალო მწვანე სასუქი გამოდგება ოღმოსავლეთ საქართველოს დაბლობის სარწყავ მიწებზე დაიხლოებით 800 მეტრის სიმაღლემდე ზღვის დონიდან, საშემოდგომო მწვანე სასუქი კი უპირატესად დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში, ან ლაგოდეხის რაიონში თამბაქოს დასათესა დგანკუთვნილ ნაკვეთზე.

მინდვრის კულტურების გარდა მწვანე სასუქი უნდა გამოვიყენოთ ახალგაზრდა ხეხილის ბალში, ციტრუსების, ტუგოს და ჩაის ახალგაზრდა ნარგავებში.

## სოცლის მეურნეობისა და მრეწველობის სხვადასხვა ნარჩენი

ქალაქის ნაგავი. ქალაქების კომუნალური მეურნეობის ერთ-ერთი ამოცანა არის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა და, კერძოდ, ქალაქის ნაგავის სისტემატური გაზიდვა და გაუვნებოვნება.

მარტო თბილისში ყოველწლიურად 150 ათას ტონაზე მეტი ნაგავი გროვდება.

ქალაქის ნაგავი შედგება ძირითადად ორგანული მასისაგან: ეს არის სამზარეულოს ნარჩენები (ფოთლები, ნაფეხვენი და სხვ.) და ქუჩების მონაგავი. ამის გარდა, ნაგავში არის აგრეთვე ნაცარი, მინის ნამსხერევები, სხვადასხვა ლითონი, ქალალი და სხვ. სათანადო დახარისხების შემდეგ ნაგავი თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ როგორც სასუქი. მაგალითად, ის ნაგავი, რომელიც მარტო ქალაქ თბილისში გროვდება, ყოველ-

წლიურად გაანოყიერებს 2 000—3 000 ჰექტარ ბალ-ბოსტნებს, რაც თბილის გარშემო აკრავს. დახარისხებული ნაგავი ძირითადად ორგანულ მასას ჭარმოადგენს, რომელსაც ზამთარში ნაცარი ემატება. ნაგავი თავისი ქიმიური შედგენილობით ნაკელის მსგავსია (იხ. ცხრ. 7):

ცხრილი 7	
ქალაქის ნაგავის ქიმიური შედგენილობა	(პროცენტობით)
წყალი	— 48
აზოტი	— 0,5
ფოსფორი	— 0,5
კალიუმი	— 0,2

როგორც ვხედავთ, ქალაქის ნაგავი უფრო ნაკლებ წყალს შეიცავს, ვიდრე ნორმალურად დამზადებული ნაკელი, აზოტის კი იმდენსავე შეიცავს, რასაც ნაკელი, ფოსფორს უფრო მეტს, ხოლო კალიუმს ნაკლებს; ზამთარში კალიუმის შემცველობა მნიშვნელოვნად მატულობს, ზაფხულში კი მცირდება.

ქალაქის ნაგავი, სათანადო დახარისხების შემდეგ, რომლის დროს მას აცლიან ზედმეტი, სასუქად უვარის მინარევებს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც დაუკომპონისტებელი, ისე დაკომპონისტებული. იგი აღიდებს ბოსტნეულის მოსავალს ისევე, როგორც ნაკელი (იხ. ცხრ. 8).

ცხრილი 8  
ნაგავის გავლენა კომპონტოს მოსავლიანობაზე  
(გრუზინოვის მიხედვით)

სასუქის დასახელება	დოზა ჰა-ზე ტონობით.	მოსავალი ჰა- ზე ც-ით
დაუკომპონისტებელი ნაგავი	100	413,0
დაკომპონისტებული ნაგავი	"	404,8
ცხენის ნაკელი	"	407,2

ასე რომ ქალაქის ნაგავი ნაწილობრივ მაინც რომ გამოვიყენოთ სასუქიდ (ნაწილი, ალბათ სხვადასხვა მოსახრებით, უმჯობესი იქნება ლაიტვას), იგი ორგანული სასუქის საკმაოდ მნიშვნელოვანი წყარო გახდება.

**საკუებად უფარგისი სხვადასხვა კოპტონი.** სასუქად გმინებად აბუსალათინის, ტუნგოს და სხვ. მცენარეების კოპტონი, რომელიც საკუებად არ ვარგა, რადგან შეიცავს მომუხამავ ნივთიერებებს. შუა აზის რესპუბლიკებში, საღაც ბამბის კოპტონის დიდი რაოდენობა გროვდება, მას ნაწილობ; რიც სასუქადაც ხმარობენ. აბუსალათინის კოპტონი შეიცავს 7% -მდე აზოტს, 1,7% ფოსფორმჟავას და 0,7% კალიუმსტუნგოს კოპტონი აზოტით უფრო ღარიბია: იგი შეიცავს დაახლოებით 1% აზოტს. ჩამოთვლილი სახის კოპტონებიდან საქართველოში მარტო ტუნგოს კოპტონი გროვდება, ამიტომ მის გამოყენებას აქვს ერთგვარი მნიშვნელობა. რაც შეეხება მზესუმშირას კოპტონს, იგი მთლიანად საქონლის საკუებად მიღის.

**სხვადასხვა ნარჩენები,** სარწყავი არხების ლაში. სხვადასხვა ნარჩენებიდან, რომელთაც ერთგვარი მნიშვნელობა აქვს საქართველოს პირობებში, უნდა მოვიხსენით: კოფეინის წარმოების ნარჩენი, რომელიც ყოველწლიურად დაახლოებით 5—6 ათასი ტონის რაოდენობით გროვდება; გერანის ზეთსახდელი ქარხნის ნარჩენი, რომელიც დაახლოებით ამდენივე რაოდენობით რჩება წარმოებაში. ორივე ეს ნარჩენი დაკამპოსტების შემდეგ, რომლის დროს მათ თითო ტონაზე დაახლოებით 10 ვედრა ნაკელის წუნწუხი უნდა დაემატოს, ხოლო კოფეინის წარმოების ანარჩენს, ამის გარდა, 5—10 კგ კირიც, ა. მენაღარიშვილის ცდების თანახმად, კარგი ორგანული სასუქია. მშრალი ნივთიერების მიმართ კოფეინის წარმოების ანარჩენის კომპოსტი შეიცავს 82% ორგანულ ნივთიერებას, 3,5% -მდე აზოტს და 1,0% ფოსფორმჟავას, გერანის წარმოების ნარჩენი კი 70% ორგანულ ნივთიერებას, 2,3% აზოტს და 0,8% ფოსფორმჟავას.

აქვე უნდა მოვიხსენით არხების ლაში, რომელიც მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს ორგანულ ნივთიერებას და მცენარისათვის საკვებ მინერალურ მარილებს. არხების გაჭენდის დრო ეს ლექი ყოველწლიურად საგრძნობი რაოდე-

ნობით გროვდება არხების პირას, ტყუილუბრალოდ იკარგება და თანაც აფუჭებს არხების ნორმალურ პროფილს. დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს არხებიდან ამოღებული ლამის იქვე მინდვრის კიდეში შეგროვება და სხვადასხვა მცენარეულ ნაჩრენებთან ერთად (სარეველა მცენარეები, საკვებად გამოუსა-დეგარი ფოჩი, ფოთლები და სხვ.) დაკომპოსტება. ეს ხდება იმავე წესით, როგორითაც შერეული კომპოსტი მზადდება. დაუკომპოსტებლად მისი სასუქად გამოყენება სასურველი არ არის, რაღაც არხის ნალექში შეიძლება მნიშვნელოვანი რა-ოდენობით იყოს სარეველა მცენარეების თესლი და ნაყოფები. დაკომპოსტებული ლამი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ახლო-მახლო მინდვრებზე როგორც კარგი ორგანული სასუქი.

### ორგანული სასუქების ნიაღაგში შეტანის ტექნიკა

ორგანული სასუქები ნიაღაგში შეიტანება ძირითადი განოყიერების დროს, ე. ი. თესვამდე, დარგვამდე, ან მრავალწლიური ნარგვების რიგთშორისების მოხვნის, ან და-ბარვის დროს. ამ შემთხვევაში ორგანული სასუქი იხმარება არა ნაკლებ 20—40 ტონია ერთ ჰა-ზე, ამიტომ იგი უნდა შუვეურიოთ მთელ დამუშავებულ ფენას, რაღაც ორგანული სასუქით განოყიერების მიზანს აქ შეადგენს არა მარტო მცენარეთა კვების პირობების უშუალო გაუმჯობესება, არამედ ნიაღაგის ფიზიკური თვისებების გაუმჯობესებაც და ნიაღაგ-ში სასარგებლო მიკროორგანიზმების რაოდენობის გადიდება, რათი მოქმედების გაკვეველება.

ორგანული სასუქი ხშირად შეიტანება ნიაღაგში აგრე-თვე ადგილობრივი წესით, ე. ი. თესვის ან დარგვის დროს მწერივში, ბუდნაში ან კვალში. ამ წესით შედარებით მცირე რაოდენობით შეტანილი სასუქი—ჰა-ზე 5—10 ტონა—იმდენ-სავე და ზოგჯერ უფრო მეტ ეფექტს გვაძლევს, ვიდრე ორ-განული სასუქის ბევრად უფრო მაღალი დოზები—20—40 ტონა—მთელ ფართობზე მობნევით შეტანილი და ნიაღაგის მთელ სახნავ ფენასთან შერეული. იბადება კითხვა: თუ ორგა-ნული სასუქის ადგილობრივად შეტანის წესი უმჯობესია,

მაშინ რატო ყოველთვის ამ წესს არ ვხმარობთ? საქმე საქმე არის, რომ სასუქის ადგილობრივად შეტანის წესით ვანოყი-ერებთ, მართალია, მცენარეს და ვზრდით მის მოსავლიანობას, მაგრამ ნიადაგის მთელ მასაზე, მის გაკულტურებაზე ვანოყი-ერების ეს წესი მცირე გავლენას ახდენს. ნიადაგში ადგი ლობრივად შეტანილი ორგანული სასუქის მოქმედება ძირი-თადად ერთი წლით განისაზღვრება. მთელ სახნავ ფენისთან შერეული სასუქი კი, ცხადია, გააუმჯობესებს ნიადაგის მეტ მასას და მისი გავლენა ამ მხრივ მით უფრო ძლიერი და ხანგრძლივი იქნება, რაც მეტი რაოდენობით გამოვიყენებთ სასუქს. ამიტომ თავის ადგილას და შესაფერის პირობებში წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ორგანული სასუქის როგორც ადგილობ-რივად შეტანის წესი, ისე მთელ ფართობზე მობნევის წესიც.

ორგანული და აგრეთვე მინერალური სასუქის ადგი-ლობრივად—თესვის დროს მწერივებში, კვალში ან ბუდნებში შეტანა აქამდე მარტო სათოხნი კულტურებისათვის იხმარებოდა, რადგან აქ მცენარეები ერთი მეორისაგან საკმაო მან-ძილით არიან დაშორებულნი. ხშირად გამოიყენება ეს წესი მრავალწლიან ნარგავებშიც. რაც შეეხება მთლიანი თეს-ვის კულტურებს, როგორიცაა თავთავიანი პურეული, ზალა-ხები და სხვ., სადაც ნათესმი მცენარე მცენარისაგან ძალიან მცირე მანძილით არის დაშორებული, ორგანული სასუქების ადგილობრივად შეტანის წესის გამოყენება თითქოს შეუძლებე-ლია, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. ჩართლაც, სასუქე-ბის ადგილობრივად შეტანა შეიძლება პორიზონტალურ სიბრ-ტყეში, როდესაც სასუქი მარტო ალაგ-ალაგ შეგვაქვს (მწერივე-ში, კვალში, ბუდნაში), და ვერტიკალურ სიბრტყეშიც, თუ სასუქს შევურევთ ნიადაგის არა მთელ ფენას, არა-მედ რომელიმე ფენას. ამ შემთხვევაში შეიძლება სასუქი მთელ გასანოყიერებელ ფართობზე მოვაბნიოთ, მაგრამ ნიადაგს იგი შევუჩიოთ ზერელად დამუშავების რომელიმე ხერხით—ფარ-ცხვით, კულტივაციით და ა. შ.ჭავევე შეიძლება სასუქი პორი-ზონტალურ სიბრტყეში ადგილობრივად შევიტანოთ, მაგრამ გავანოყიეროთ მთელი სახნავი ფენა, ან ალაგ-ალაგ შევიტა-ნოთ და ისიც მარტო ერთ რომელიმე ფენაში.



ამ ორი წლის შინათ აკად. ტ. ლისენჯომ შამოყენების რიცხვის განვიყერების ახალი წესი: ორგანული და მინერალური სასუქი ერთდროულად შეიტანება ხორბლისათვის ნიადაგის თესვისშინა კულტივაციის დროს. ასეთი განვიყერებისათვის ერთ ჰა-ზე საჭიროა: 1,5—5 ტონა გადამწვარი ნაკელი და 1—2 ცენტნერი ფხვნილისებრი სუპერფოსფატი; ეშვერ ნიადაგებზე, ამის გარდა, შეიტანება აგრეთვე 3—5 ცენტნერი კრისტემცველი რაიმე სასუქი. ამგვარი განვიყერების შედეგად ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ექსპერიმენტულ მეურნეობაში („გორკი ლენინსკიე“) მიღებულ იქნა ორგორც მარცვლეულის, ისე ბალაზების მაღალი მოსავალი. თუ გაუნიკირებელი ნაკვეთის თოთვეულ ჰა-ფართობზე 1953 წელს მიიღეს 17,8 ცენტნერი საშემოდგომო ხორბლის მარცვალი და 1954 წელს 34 ცენტნერი სამყურას თივა, მეორე ნაკვეთზე, საღაც 1952 წლის შემოდგომაზე შეიტანეს 1,8 ტონა გადამწვარი ნაკელი, 3 ცენტნერი სუპერფოსფატი და 3 ცენტნერი დაფქვილი კირქვა, 1953 წელს საშემოდგომო ხორბლის მოსავალი ჰა-ზე უდრიდა 28,7 ცენტნერს, ხოლო 1954 წელს სამყურას თივის მოსავალი 52 ცენტნერს. სასუქების ასეთი შეხამება, ორგორც ტ. ლისენჯო იმტკიცებს, საუკეთესო პირობებს ქმნის იმ სასარგებლო მიკრობიოლოგიური პროცესების გაცხოველებისათვის, რომლის შედევრად ნიადაგში მზადდება მცენარი-სათვის საჭირო საკვები.

ორგანული სასუქის ზოგიერთი ადვილადესნადი ფორმა, მაგალითად, ნაკელის შუნწუხი, ფრინველის ნაკელი, გამოიყენება მცენარის ვიგზაურის დროს, გამოვების მიზნით. ამ შემთხვევაში სასუქი უნდა შევიტანოთ ნიადაგში ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლები იქნეს მისი დანაკარგი. ამისათვის საჭირო სასუქის ზეტანა ნიადაგის გარკვეულ, მცირე სიღრმეზე, ან ნიადაგის ზედაპირზე მობნევა ან მოსხურება და ერთდროულად მისი შერევა ნიადაგთან რაიმე ზერელე დაწუშავების ხერხის მეშვეობით.



ზოგჯერ მცენარის გამოკვების მიზნით ჰელაპლატფორმაზე შეაქვთ აგრეთვე ნაკელი, მაგრამ ასეთი პრაქტიკა არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩავთვალოთ, რადგან ამ წესით შეტანილი ნაკელიდან დიდი რაოდენობით იყარება აზოტის მქროლავი შენაერთები, სასუქი იფიტება, შრება და ლარიბლება მიკროორგანიზმებით; ასეთი სასუქის ეფექტი მნიშვნელოვნად მცირდება. მაგრამ ზოგჯერ ესა თუ ის ორგანული სასუქი საჭიროა ერთდროულად გამოვიყენოთ აგრეთვე როგორც მასალა მულჩისათვის, ნიადაგის ზედაპირზე დასაფენად. ამ შემთხვევაში უნდა ვიხსაროთ ისეთი სახის ორგანული სასუქი, რომელიც აზოტის მქროლავ შენაერთებს არ შეიცავს, ან ძალიან მცირე რაოდენობით შეიცავს, ასეთია, მაგალითად, ტორფ-კომპოსტი და მწვანე სასუქი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ორგანული სასუქების ნიადაგში შეტანის მექანიზაცია. ეს საქმე ჯერჯერობით ჩამორჩენილია, მეტადრე საჭართველოში, მაგრამ საპჭოთა კავშირის კ. პ. ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტის და ივნისის პლენუმის დადგენილებანი, რომელიც მექანიზაციის სხვა საკითხებთან ერთად სასუქების ნიადაგში შეტანის მექანიზაციასაც ეხება, წარმოადგენს იმის გარიანტიას, რომ ეს საკითხი სულ მოკლე დროში იქნება მოვარებული. ჯერჯერობით კი ორგანული სასუქის ნიადაგში შესატანად საჭიროა შემოვიტანოთ და ფართოდ, მთელი დატვირთვით, გამოვიყენოთ ის უნივერსალური სასუქების-გამზნევი მანქანა („TYP—7“), რომელსაც საბჭოთა ქარხნები უშვებენ.

## ორგანული სასუქების გამოყენება სხვადასხვა კულტურის გასანოების რაოდენობლად

საჭართველოში მოთხოვნილება ორგანულ სასუქებზე ბევრად აღემატება იმ რესურსებს, რომელნიც ამჟამად მოგვეპოვება. მიმდინარე ხუთწლედის ბოლოს მრავალწლიანი ნარგავების ფართობი 300 ათას ჰექტარისგან უნდა გადიდეს. ამ ფართობში შედის 25 ათასი ჰა ციტროსები, 68 ათასი



ჰაის პლანტაცია, 65 ათასი ჰა ვენახი, 88,5 კულტურული ჟამში გადასახვა სუბტროპიკული ხეხილი და ა. შ. ყოველწლიურად ამ ფართობის ერთი მესამედიც რომ გავანოყიეროთ ორგანული სასუქის საშუალო დოზით—40 ტონით ერთ ჰექტარზე, საჭირო იქნება 4 მილიონი ტონა სასუქი. ამის გარდა, უნდა ვიანგარიშით 41 ათასი ჰა ბალჩეულ-ბოსტნეულის და კარტოფილის განოყიერება ერთ ჰა-ზე თუნდაც 30 ტონა ნაკელით ან სხვა ორგანული სასუქით, რაც მთელ ამ ფართობზე შეადგენს 1,23 მილიონ ტონა სასუქს; 15 ათასი ჰა თამბაქოს განოყიერებას ერთ ჰა-ზე 20 ტონა სასუქის ანგარიშით დასჭირდება 300 ათასი ტონა; დაბოლოს, უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე 5 ათასი ჰა შაქრის ჭარხლის განოყიერება, რასაც დასჭირდება კიდევ 100 ათასი ტონა სასუქი.

ამრიგად, მარტო მთავარი, წამყვანი კულტურების განოყიერება ყოველწლიურად მოითხოვს 5 მილიონ ექვსას ათას ტონა ორგანულ სასუქს. როგორც ეხედავთ, ამ მოთხოვნილების გამოანგარიშების დროს მინდვრის კულტურებიდან ნაგულისხმევია მარტო თამბაქო, შაქრის ჭარხალი და კარტოფილი. თუ ამ უკანასკნელს არ ჩავთვლით, რადგან იგი ხშირ შემთხვევაში საბოსტნე ფართობებზე ითესება, ხოლო მინდორში მეტ წილად მთიან ზონაში (წილკის, ღმანისის, ახალციხის, ახალქალაქის და სხვ. რაიონები) მოჰყოვთ, დავინახავთ, რომ დაბლობ ზონაში ორგანული სასუქით განოყიერებული მინდვრის კულტურების — თამბაქოსა და შაქრის ჭარხლის ხედრითი წონა მთელი სახნავ-სათესი ფართობის მიმართ მეტად მცირეა: იგი ამ ფართობის დაახლოებით 2,5 პროცენტს უდრის. ამავე დროს ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ შაქრის ჭარხალი ითესება მხოლოდ ჭართლის რამდენიმე რაიონში, ხოლო თამბაქო ძირითადად აფხაზეთში და ლაგოდეხის რაიონში. ასე რომ საქართველოს სახნავ-სათესი ფართობის უდიდესი ნაწილი სრულებით მოკლებულია ორგანულ სასუქს: თითქმის სრულებით არ ანოყიერებენ მარცვლეულს—ხორბალს, სიმინდს, მზესუმზირას, საკვებ კულტურებს.

ამისდა მიუხედავად, ნაკელის არსებული რესურსები აკმა-  
ყოფილებს ზემოთ მითითებული მინიმალური მომზადების  
დაახლოებით მარტო ერთ მეოთხედს. ამ მდგრადი გა-  
მოსწორება და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის,  
პირველ რიგში ბოსტნეულის, კარტოფილის და ხეხილის გა-  
ნოვიერების ამჟამად ხმარებული სისტემის გაუმჯობესება ორი  
გზით შეიძლება: 1) უნდა გავადილოთ მეურნეობაში დაგრო-  
ვილი ნაკელის რაოდენობა, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი  
და 2) ნაკელის გარდა ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სხვა  
ორგანული სასუქებიც.

ამიტომაც, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის  
ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენურის  
დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კომუნისტური  
პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის ოქტომბრის  
პლენურმა განსაკუთრებით გაამახვილა კოლმეურნეობებისა  
და საბჭოთა მეურნეობების ყურადღება ადგილობრივი სასუ-  
ქების—ნაკელის, ტორფის, წუნდუხის, კომპოსტების და სხვა-  
თა დაგროვებაზე და ვამოვიყენებაზე. პლენური მიგვითითებს,  
ომ ორგანული სასუქები პირველ რიგში უნდა გამოვიყენოთ  
მრავალწლიანი ნარგაობის, ბოსტნეულის და კარტოფილის  
გასანოვიერებლად.

ჩაი და ციტრუსები. ამ კულტურების განოვიერების  
ამჟამად მიღებულ, ერთადერთ სწორ ორგანულ-მინერალურ  
სისტემაში თრგანული სასუქი აუცილებელი ელემენტია. და-  
სავლეთ საქართველოში ჩაისა და ციტრუსების გასანოვი-  
ერებლად იყენებენ ტორფ-კომპოსტებს და ნაკელს, უფრო  
იშვიათად მწვანე სასუქს, თუმცა მისი ეფექტი ნაკელის ეფექტს  
არამატუ არ ჩამოუვარდება, არამედ ზოგჯერ აღემატება კიდე-  
ვაც. აი, მაგალითად, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების  
საკავშირო ინსტიტუტის მიერ (ი. გამყრელიძე და ვ. იოსავა)  
ახალგაზრდა ჩაის პლანტაციაზე ჩატარებული ცდის შე-  
დეგები (იხ. ცხრილი 9).

როგორც ვხედავთ, წითელმიწა ნიადაგზე ჩაის მოსავ-  
ლიანობაზე ნაკელისა და მწვანე სასუქის მოქმედება თითქმის

თანაბარია, ეწერ, ორგანული ნივთიერებით უფლისობრივარიბი ნიადაგზე კი მწვანე სასუქის მოქმედება ნაკელის მოქმედებაზე უფრო ძლიერია.

### ცრილი 9

#### ჩაის ფოთლის მოსავალი კგ/ჸა-ზე

განოყიერება	ანასეული. წითელმიწა	ზუგდიდი, ეწერი		
	სასუქის მოქმედება პირველ წელს	სასუქის შემდგომქმედება (9 წლის საშუალო)	მოქმედების პირველი წელი	სასუქის შემდგომქმედება (7 წლის საშუალო)
უსასუქოდ ფოსფორ-კალიუმი და ნაკელი .	1348	1345	1082	650
ფოსფორ-კალიუმი და მწვანე სასუქი . . .	15-6	1739	3067	1574
	1468	1708	3436	1757

ჩაის ახალგაზრდა ნარგავებში ან მძიმე გასხვლის წელს მწვანე სასუქი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებისათვის და მას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ვიდრე აქამდე ექცევა. ჩაის ახალგაზრდა პლანტაციების განოყიერება მწვანე სასუქით მით უფრო საყრდენებოა, რომ მისი ეფექტი მეტად ხანგრძლივია. ანასეულის პირობებში, მაგალითად, 10 წელზე მეტი გრძელდება. ასე რომ, თუ ახალგაზრდა პლანტაციას რამდენიმეჯერ — ყოველ მეორე ან მესამე წელს გავანოყიერებთ ამ წესით, ჩვენ მივაღწევთ ნიადაგის მკეთრ გაუმჯობესებას და, მაშასადამე, ჩაის ფოთლის მოსავლის მნიშვნელოვან გადიდებას.

სხვა ორგანული სასუქებიდან ჩაის პლანტაციების გასანოყიერებლად ხმარობენ ტორფ-კომპოსტებს და ნაკელს. ისინი შეაქვთ 3—4 წელიწადში ერთხელ: ნაკელი 50 ტონის, ხოლო ტორფ-კომპოსტები 80—100 ტონის რაოდენობით თითოეულ ჰექტარზე. ჩაის მცენარეთა გამოსაკვებად ვეგეტაციის განშავლობაში საუკეთესო შედეგს გვაძლევს ნაკელის წუნწუხი. იგი, როგორც სწრაფმოქმედი სასუქი, ხელს უწყობს დუდების მასობრივ განვითარებას.

ციტრუსების გასანოყიერებლად ხმარობები აგრძოვებული ტორფ-კომპოსტებს და ნაკელს, ამის გარდა, ტოლქაშები მცენა ნარეთა გამოსაკვებად ყვავილობის პერიოდში შეაქვთ 6—8 ლიტრი ნაკელის წუნწუხი, თითოეული ხის ძირში. ციტრუსების განოყიერება როგორც ორგანული, ისე მინერალური სასუქებით უნდა შარმოებდეს, ცხადია, ცალკეული ხისადმი ინდივიდუალური მიღომით; ავიტომ სასუქის ამა თუ იმ მითითებულ ნორმას ყოველთვის საორიენტაციო ხასიათი აქვს. სასუქების ნორმების დიფერენციაცია ხდება როგორც ნიადაგის ნაყოფიერების, ისე მცენარის ასაკის და საერთო მდგომარეობის მიხედვით. ამის შესაბამისად დარგვის დროს თითოეულ ძირზე შეაქვთ 10—25 კგ ნაკელი ან სხვა ორგანული სასუქი, ერთიდან ხუთ წლამდე აგრეთვე 10—25 კგ ერთ ძირზე, შემდეგ კი სასუქის დოზებს თანდათანობით აღიდებენ და ზრდადასრულებულ, 15 წელზე შეტი ასაკის მცენარეებს ანოყიერებენ 30—50 კგ ორგანული სასუქით.

ამ ბოლო წლებში ციტრუსების ნარგავებში ტორფ-კომპოსტებს ორი დანიშნულებით იყენებენ: ნიადაგის ზედაპირზე პლანტაციაში მობნეული ტორფ-კომპოსტი ცხელი სეზონის განმავლობაში ასრულებს მულჩის როლს, ხელს უწყობს რა ნიადაგში ტენის შენარჩუნებას, ზამთარში კი ტორფ-კომპოსტს ნიადაგში ჩახნავენ ან ჩაბარავენ და ამნაირად მას უკვე სასუქად იყენებენ.


ეს ღონისძიება საერთოდ კარგ შედეგებს გვაძლევს, მაგრამ მისი გამოყენების ზოგიერთი მხარე მოითხოვს შემდგომ დაზუსტებას ამა თუ იმ კონკრეტული მეურნეობის პირობებში. რა სისქის უნდა იყოს ტორფ-კომპოსტის ფენა, რომ მან მულჩის დანიშნულება შეასრულოს, რამდენად მნიშვნელოვანია და რა გავლენას ახდენს მოსავლიანობაზე ტორფ-კომპოსტის როგორც მულჩ-მასალის მოქმედება, რამდენად უარესდება ტორფ-კომპოსტის როგორც სასუქის ღირსება მულჩად გამოყენების დროს და სხვ. ასეთი და ზოგი სხვა საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ტორფ-კომპოსტის ხსენებულ კომბინირებულ გამოყენებასთან, შესწავლილი და დაზუსტე-

ბული უნდა იქნეს ცალკე კოლმეურნეობებში სახალხო გამოყენებული მეურნეობებში.

საერთოდ ორგანული სასუქების არსებული რესურსები რაც შეიძლება ეფექტურად უნდა იქნეს გამოყენებული. ამავე დროს ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ გავადიდოთ ეს რესურსები ცალკეული მეურნეობის შიგნით, რათა თანდათანობით შევამციროთ ის დიდი სატრანსპორტო ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია ტორფ-კომპოსტების, ნაკელის, თუ სხვა ორგანული სასუქის ერთი რაიონიდან მეორეში გადაზიდვასთან.

სხვა ღონისძიებათა შორის, შწვანე სასუქის გამოყენებასთან ერთად, საუკეთესო საშუალებად ჩვენ მიგვაჩნია ტორფ-ნაკელის კომპოსტების მომზადება უშუალოდ კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში. ამ ღონისძიების ფართოდ გამოყენება ორგვარ შედეგს მოგვცემს: გაუმჯობესდება მეურნეობაში დაგროვილი ნაკელის ხარისხი, რომელსაც ამჟამად უმეტეს შემთხვევაში უსაფეროდ ამზადებენ, და ერთგვარად შემცირდება სატრანსპორტო ხარჯი, რადგან მეურნეობა მხა ტორფ-კომპოსტის ნაწილს შეცვლის ტორფით, რომლითაც მომზადებს ტორფ-ნაკელის თუ სხვა კომპოსტს. ამავე დროს მეურნეობას საშუალება ექნება უფრო მეტი ხნის განმავლობაში გამოაშროს ტორფი, ვიდრე ეს შესაძლებელია ტორფ-კომპოსტების დამამზადებელ ქარხნებში. კარგად გამომშრალი ტორფის გამოყენება კი ფერმებში საჭინლის საფენად, გარდა იმისა, რომ გააუმჯობესებს ტორფ-კომპოსტის ხარისხს, საუკეთესო საშუალება იქნება ბოსელში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებისათვის. ასეთი გამომშრალი ტორფი საერთოდ უკეთესია ყველა სახის კომპოსტის მოსამზადებლად.

**ტუნგო.** ორგანული სასუქებიდან ტუნგოს გასანოყიერებლად გამოიყენება ნაკელი, ტორფ-კომპოსტები და მწვანე სასუქი. ამის გარდა, მთლიანად გამოყენებული უნდა იქნეს ტუნგოს ზეთსახდელი ქარხნების ნარჩენები—ნაჭუჭი და კოპურნი. სასუქები შეიტანება ნიადაგის ძირითადი დამუშა-



ვების დროს. სასუქების დოზები დამოკიდებული იყო ასეთ ზე. პლანტაციის გაშენების დროს თითოეულ ძირზე შეაქვთ 8—10 კგ სასუქი, 3-დან 5 წლამდე — საშუალოდ 30 კგ და შემდეგ 40—50 კგ. დოზის შერჩევის დროს, რასაკვირველია, ანგარიში უნდა გაეწიოს ნიადაგის ნაყოფიერებასაც.

დიდი მნიშვნელობა აქვს მწვანე სასუქს, რომელიც იხსა-რება პლანტაციის გაშენების წინ, როგორც წინამორბედი კულტურა, და შემდეგაც — ახალგაზრდა პლანტაციაში. ახალ გაზრდა პლანტაციის ასაკის მიხედვით მწვანე სასუქად ესა თუ ის მცენარე ითესება ხეების შტამბილან 0,2—1 მეტ. რის დაცილებით. 4—5 წლის ასაკის შემდეგ მწვანე სასუქის გამოყენება უკვე მიზანშეუწონელია. მწვანე სასუქმა რომ ბევრი მწვანე მასა დააგროვოს და კარგი შედევი მოგვცეს, ამი. სათვის საჭიროა მისი დათესვის წინ ნიადაგში ფოსფორიანი სასუქის შეტანა დაახლოებით 1 ტონა სუპერფოსფატის ან-გარიშით ერთ ჰა-ტე.

მწვანე სასუქიდ ითესება პარკოსანი მცენარეები; მუავე, ეწერი ტიპის და წითელმიწა ნიადაგებზე — ლურჯი და თეთრი ხანჭკოლა, ჩიტფეხა, სხვა ნიადაგებზე — ცერცელა-ჭვავის ნარევი, ბარდა, ცულისპირა. თესვა ტარდება იგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დამდეგს. ამ შემთხვევაში მწვანე მასა ჩაიხვნება ნიადაგის საზამთრო დამუშავების დროს. თუ თესვა იმ პერიოდში არ მოესწრო, მაშინ უფრო მოვაიანებით დათესილი მცენარეების ჩახვნა მომდევნო გაზაფხულზე წარმოებს. იქ, სადაც პლანტაცია ფერდობხედ გაშენებულია, შეიძლება ნიადაგსაფარი კულტურებისა და მწვანე სასუქის კომბლექსის გატარება. ამისათვის ფერდობზე ითესება სხვადასხვა მრავალწლიანი პარკოსანი მცენარეები — მრავალწლიანი ხანჭკოლა, ლესპერდეხა, კურდლისფრჩილა და სხვ. მიღებული მწვანე მასა სისტემატურად ითიბება და გამოიყენება მწვანე სასუქად ხეების ირგვლივ, ჯამებში ჩასახნავიდ, ან ჯერ მულჩის სახით და შემდეგ სასუქიდ.

ხეხილი და ვენახი. ხეხილის ბალში და ვენახში, ისევე როგორც სხვა კულტურების განოყიერების დროს, საუკეთესო შედეგს გვაძლევს განოყიერების ორგანულ-მინერალური სისტემა

ე. ი. ორგორც ორგანული, ისე მინერალური სასუქის ერთ დროული გამოყენება. განკითიერების ასეთი სისტემა არა მარტო აღიდებს მოსავლიანობას, არამედ აუმჯობესებს მოსავლის ხარისხსაც.

ვენახისათვის ორგანული სასუქის დოზები იცვლება ვაზის დატვირთვისა და ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით. დატვირთვის გადიდებასთან ერთად უნდა გაიზარდოს სასუქის დოზაც; დასავლეთ საქართველოში, სადაც ნიადაგები უფრო მწირია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში, ერთ პაზე უნდა შევიტანოთ საშუალოდ 40—60 ტონა ორგანული სასუქი, ხოლო დარეცხილ, განსაკუთრებით მწირ მიწებზე, რომელიც ფერდობებზე არის გავრცელებული, კიდევ უფრო მაღალი ნორმები—60—100 ტონა. შედარებით უფრო დაბალი ნორმები—20—60 ტონა გამოიყენება აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ნიადაგები, მეტალრე კახეთში, უმეტეს შემთხვევაში უფრო ნაყოფიერია, ვიდრე დასავლეთში. მაგრამ აქაც, რასაკვირველია, ორგანული სასუქის ნორმა უნდა შევუფარდოთ ნიადაგის ნაყოფიერებას, ვაზის დატვირთვისა და სხვა პირობებს. დარეცხილ, სამხრეთ ფერდობებზე ნაკელის უფრო მეტი დოზები უნდა გამოიყენოთ, ვიდრე ვაკეზი, შედარებით უფრო ნაყოფიერ ნიადაგებზე; ასევე ქართლის ვენახებში საჭიროა უფრო მაღალი ნორმები, ვიდრე კახეთში და ა. შ.

ნაკელის გარდა, ვენახის გასანკითიერებლად გამოიყენება სხვადასხვა კომპონტი, მაგალითად, ტორფ-კომპონტი, ხელოვნური ნაკელი და სხვ.

ორგანული სასუქი უნდა შევიტანოთ ორ-სამ წელიწადში ერთხელ მაინც. ვენახის ან ხეხილის ბალის კიდეებზე დიდ შტაბელებად დამზადებული ნაკელი უნდა განაწილდეს რიგთშორისებში, გაიშალოს და დაუყოვნებლივ ჩაიძაროს ან ჩაიხნას. ეს მუშაობა ერთდროულად უნდა მიმდინარეობდეს, რადგან მცირე გროვებად განაწილებული ან, მთა უფრო, გაშლილი ორგანული სასუქი, განსაკუთრებით კი ნაკელი, სწრაფად კარგავს თავის ხარისხს—ჰაერში ქროლდება ყველაზე ძვირფასი ნივთიერება—აზოტი, რის გამო სასუქის დადებითი მოქმედება ნიადაგის თვისებებზე და ვაზის მოსავლიანობაზე.



ძლიერ მცირდება. ვენახში სასუქი უნდა გაიშალოს და მონაბლობით რიგებილან 20—30 სმ-ის დაშორებით, ხოლო ხეხილში 1—1,5 მეტრის დაშორებით. ამ სამუშაოს შესრულების ვადა უფარლდება ზამთარში ნიაღაგის გადაბარვას ან მოხვნას. ორგანული სასუქის ზერელეთ ჩათოვენა, ან აოშეის დროს შეტანა არ გაშოდგება, რადგან ამ შემთხვევაში სასუქის მოქმედება მნიშვნელოვნად მცირდება.

მეტად საყურადღებოა მწვანე სასუქი, რომელსაც ჩვენი მეცნახეები ამჟამად სრულიად არ იყენებენ. მწვანე სასუქის მოქმედება ნიაღაგის ნაყოფიერებაზე და მოსავლიანობაზე ნაკელის მოქმედებას არ ჩამოუვარდება.

ვენახში მწვანე სასუქად ითესება ერთწლიანი პარკოსანი მცენარეები იმ ანგარიშით, რომ მათი ვეგეტაცია მიმდინარეობდეს ზამთარში და გაზაფხულზე. ასეთ მცენარეებს საზამთრო სიღერანტები ეწოდება. ვენახში ამ მიზნით გამოყენებულ მცენარეს, გარდა იმ საერთო მოთხოვნებისა, რომელსაც მწვანე სასუქად ვარგისი მცენარე უნდა აკმაყოფილებდეს, უნდა ახასიათებდეს კარგი ყინვაგამძლეობა, გვიანი შემოდგომის დაბალი ტემპერატურის ეფექტური გამოყენების უნარი. აღმოსავლეთ საქართველოში ასეთია საშემოდგომო ცერცველა, ბარდა, შედარებით უფრო თბილ რაიონებში—საგაზაფხულო ცერცველა, აგრეთვე ცულისპირაც. დასავლეთ საქართველოში არამეავე ნიაღაგებზე გამოდგება ცულისპირა, ბარდა, კურდღლისფრჩილა, მეავე ნიაღაგებზე კი თეთრი, ლურჯი და ყვითელი ხანჭკოლა.

ვენახში მწვანე სასუქი ითესება 2—3 წელიწადში ერთხელ. მწვანე სასუქის დასათესად ნიაღაგი რაც შეიძლება აღრეუნდა მომზადდეს. თუ ნიაღაგს რთველის დამთავრებისთანავე დავამუშავებთ, რაც მეტად სასურველია, მაშინ დამუშავების სიღრმე უნდა იყოს 12—15 სმ, უფრო მოგვიანებით დამუშავების შემთხვევაში სიღრმე უნდა გავადიდოთ. ნიაღაგის დამუშავებას დაუყოვნებლივ თან უნდა მოჰყვეს თესვა; იგი ოქტომბრის დამდეგს არ უნდა გადასცილდეს, უფრო სასურველია თესვის სექტემბრის ბოლოს ჩატარება. ამიტომ ვენახის იმ ნაწილში, საზაც მწვანე სასუქის თესვას ვაპირებთ, რთველი უფრო აღრე უნდა დავამთავროთ. ნიაღაგის დამუშავება და თესვა

შეიძლება ჩავატაროთ ოთველის დაწყებამდეც, აღნიშნდ ისტორიული კრეფის დროისათვის მწვანე სასუქად დათესილი თესლი აღმოცენებული არ იყოს. ამ შემთხვევაში ნიადაგი შედარებით ზერელედ უნდა დავამუშავოთ. შესაძლებელია აგრეთვე მწვანე სასუქის თესვა მწერივგამოშვებით, მორიგეობით: ერთ წელიწადს ერთი მწერივშორისი იქნება დაკავებული ნათესით, მეორე წელიწადს მეორე. ამ შემთხვევაში ოთველის ვადებით უფრო ნაკლებ ვიქნებით შეზღუდული. ნათესი ვაზის რიგებიდან დაცილებული უნდა იყოს 20–30 სმ-ით. მწვანე სასუქად დათესილი მცენარე გაზაფხულამდე, ვიდრე მისი ჩახვნის დრო მოაწევს, ადგილობრივი პირობებისა და აგროტექნიკის მიხედვით, მოგვცემს 15–20 ტონა მწვანე მასას ერთ ჰექტარზე. მწვანე სასუქი ნიადაგში უნდა ჩაიხნას ვაზის კვირტების გაშლამდე.

ხეხილის ბალში სასუქის დოზები უნდა შევუფარდოთ ნიადაგურ პირობებს და აგრეთვე ხეხილის ასაკს. ახალგაზრდა ხეხილის ბალში ჯამის ერთ კვ. მეტრზე ანგარიშობენ საშუალოდ 6 კგ ნაკელს, ან სხვა ორგანულ სასუქს; ეს შეადგენს დაახლოებით 18 კგ-ს ერთ ძირზე. მსხმოიარე ბალში მეტევსე წლიდან შეაქვთ ერთ ძირ ხეზე 1,5–2 კ სასუქი, ერთ ჰა-ზე საშუალოდ საჭიროა 40–60 ტონა. ორცა ორგანულ სასუქთან ერთად მინერალური სასუქიც შეგვაქვს, მაშინ მითითებული ნორმები შეიძლება გავანახევროთ.

ხეხილის ბალში, ისევე ორგორც ვენახში, საუკეთესო შედეგს გვაძლევს მწვანე სასუქი. მწვანე სასუქად ითესება იგრვე მცენარეები, რაც ვენახში. დასავლეთ საქართველოში კი, გარდა მითითებული მცენარეებისა, კარგია ცერცველა-ჭვავის და ცერცველა-შვრიას ნარევი. ამ ღონისძიების განხორციელებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა ბალში, ორცა გვინდა შედარებით დაბალნაყოფიერი ნიადაგების სწრაფ გაკულტურებას მივაღწიოთ. მსხმოიარე ბალში მწვანე სასუქსა და ნიადაგის დამულჩას, ე. ი. მისი ზედაპირის დაფარვას ხშირად ერთად ათავსებენ. ამისათვის შემოდგომაზე დათესილ მწვანე სასუქს გაზაფხულზე კი არ ჩახნავენ, არამედ გათიბავენ და ნიადაგის ზედაპირზე მოაფენენ; ზამთარში კი ნა-

ხევრადგახოწნილ მცენარეულ მასას ჩახნავენ ალექსანდრე ან განულ სასუქს. მცენარეული მასის ხეხილის ბაღში ნიადაგის ზედაპირზე დაფენას დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგში ტენის მარაგის შენარჩუნების, მიკრობიოლოგიური პროცესების გაცხოველებისა და აგრეთვე სარეველების განვითარების შეფერხების თვალსაზრისით. ამ ღონისძიების ეფექტი, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია მულჩად გამოყენებული მცენარეული მასის რაოდენობაზე: თუ ეს მასა მცირეა და ნიადაგს კარგად არ ფარავს, ან მეტად თხელ ფენას ქმნის მის ზედაპირზე, მიღებული შედეგიც მცირე იქნება. ამიტომ გათიბული მწვანე მასა უმჯობესია დავაფინოთ არა მთელ გათიბულ ფართობზე, არამედ მის ნაწილზე ისე, რომ მწვანე მულჩის სისქე დაახლოებით 10 სმ-ს უდრიდეს.

### ორგანული სასუქის გარდგილება თესლპროცესი

მინდვრის კულტურებიდან ორგანული სასუქი პირველ რიგში უნდა დაიგეგმოს კარტოფილის, შაქრის ჭარხლის და თამბაქოს გასანოყიერებლად; ეს სათოხი კულტურები სასუქს საუკეთესოდ ანაზღაურებენ. მაგრამ თესლპროცესი როგორც აგრონომიულ, ისე ორგანიზაციულ საწარმოო მოსაზრებებით მიზანშეწონილია ორგანული სასუქის სხვა მინდვრებზეც შეტანა, თუ, ცხადია, ამის საშუალება გვაქვს.

კოლმეურნეობისათვის ნაკელის ან სხვა ორგანული სასუქის გაზიდვა ანეულზე ყველაზე უფრო მოსახერხებელია. ამიტომ წინათ ანეულიან თესლპროცესი ნაკელით ყოველთვის ანეულს ანოყიერებდნენ. ამჟამად იმ რაიონებში, სადაც სუფთა ანეული ჯერ კიდევ შენარჩუნებულია, ორგანული სასუქის შეტანა ანეულზე გამართლებულია აგრეთვე იმითაც, რომ ანეულზე საშემოდგომო ხორბლის შემდეგ ჩვეულებრივად ბალახები მოდის. ასე რომ წინა წლის განოყიერება კარგ პირობებს ქმნის ამ მინდორზე ბალახების მაღალი მოსავლის მიღებისათვის. ამის გარდა, ანეულზე ორგანული სასუქის შეტანა მიზანშეწონილია იმიტომაც, რომ ანეული კულტურათა მორიგეობის ბოლოშია მოთავსებული, რის გამო მრავალწლიანი ნათესი ბალახების დადე-

ბითი გავლენა ხიადაგის ნაყოფიერებაზე აქ თითქმის შტლიანი ამოწურულია, რადგან ბალახები ჩვეულებრივად მორიგეობის თავშია მოთავსებული.

იქ, სადაც თესლბრუნვაში ანეული არ არის, ნაკელი, თუ არსებული რესურსები ამის საშუალებას გვაძლევს, უნდა შევიტანოთ არა მარტო შაქრის ჭარხლის, კარტოფილის და სხვა წამყვანი კულტურებისათვის, არამედ სასიმინდე მინდორზეც, რომლის შემდეგ ხორბალი უნდა დაითესოს.

საკვებ თესლბრუნვებში ორგანული სასუქის შეტანის საუკეთესო აღგილი არის საკვები ძირხვენები, საკვები ბახჩეული (საზამთრო, გოგრა), რომელთაც იქ ჩვეულებრივად ერთი მინდორი აქვს დაომობილი.

ორგანული სასუქის გარდა თესლბრუნვაში იყენებენ მინერალურ სასუქსაც. მინერალური სასუქით შეძლებისამებრ თესლბრუნვის ყველა კულტურას ანოყიერებენ, მაგრამ პირველ რიგში იყენებენ მას შაქრის ჭარხლის, თამბაქოს, კარტოფილის და ბოსტნეულისათვის. მინერალურ სასუქს ხმარობენ როგორც ძირითადი განოყიერების, ისე აგრეთვე გამოკვებისათვისაც, ზოგჯერ (შაქრის ჭარხალი, ხორბალი) იგი შეაქვთ თესვის დროს მწკრივებში. მარცვლეულის გასაწილიერებლად ამჟამად მინერალურ სასუქს მცირე რაოდენობით იყენებენ, მაგრამ მათი მოხმარება ამ მიზნით თანდათანობით უნდა გაფართოვდეს, უპირველეს ყოვლისა, წამყვანი პურეულის — საშემოდგომო ხორბლის გასაწილიერებლად. ხორბლის განოყიერების ყველაზე მისაღები წესები, რომელნიც სასუქების მცირე დოზებს მოითხოვენ და მასთან გაწეულ ხარჯს კარგად გვინაზღაურებენ, არის მწკრივული განოყიერება თესვის დროს და გამოკვება ვეგეტაციის განმავლობაში. როდესაც მინერალური სასუქი მეტი რაოდენობით გვექნება, ვიღრე ამჟამად, მაშინ, რასაკირველია, უმჯობესი იქნება თუ ამის ძირითად განოყიერებასაც დავუმატებთ. ამჟამად კი საშემოდგომო ხორბლის თესვის დროს, სარწყავ მიწებზე, მწკრივში მიზანშეწონილია 1—1,5 ც გრანულირებული სუპერფოსფატის შეტანა, ხოლო გაზაფხულზე ჯეჯილის გამოკვება აზოტ-ფოსფო-

რიანი სასუქით. უჩრწყავ, ნალექებით ნაკლებ უზრუნველყოფილ  
რაიონებში სასარგებლო იქნება ჯეჯილის გამოკვება აგრეთვე  
შემოდგომათაც.

დასავლეთ საქართველოში ძირითადი პურეული სიმინ-  
დია, მაგრამ მის განოყიერების აქამდე სათანადო ყურადღე-  
ბა არ ექცევა. ორგანული სასუქის შეტანა სასიმინდე ნაკვე-  
თებზე ამჟამად შეუძლებელია, რადგან მისი რაოდენობა აქ  
იმდენად მცირეა, რომ ძვირფას სუბტროპიკულ კულტურათა  
მოთხოვნილებასაც არ აქმაყოფილებს. ნიადაგები კი დასავ-  
ლეთ საქართველოში ძალზე გამოფიტულია. ამ ნიადაგებზე  
მინერალური სასუქი, როგორც მრავალი ცდა გვიჩვენებს,  
ხშირად აორკეცებს სიმინდის მოსავლიანობას. სიმინდის გა-  
სანოყიერებლად გამოყენებული უნდა იქნეს სუპერფოსფატი,  
უჯრებესია გრანულირებული, რომელიც შეიტანება ნაკვეთის  
მოხვნის შინ, და ამონიუმის გვარჯილა, რომელიც გამოიყე-  
ნება უმთავრესად ნათესის გამოსაკვებად.

ქვემოთ მოგვყავს თესლბრუნვაში ორგანული სასუქის  
სწორი განაწილებისა რამდენიმე მაგალითი. სურათის სისრუ-  
ლისათვის მოყვანილ სქემებში, ორგანული სასუქის გაადგი-  
ლებისა და დოზის გირდა, მითითებულია მინერალური სასუ-  
ქის შეტანის ადგილიც.

თესლბრუნვების მოყვანილი სქემები, რასაკვირველია,  
საორიენტაციო არის, რადგან ჯერჯერობით საბოლოოდ დად-  
გენილი არ არის, თუ რა ტიპის თესლბრუნვები დაინერგება  
საქართველოს ამა თუ იმ რაიონში. თესლბრუნვების ჩამოყა-  
ლიბება-დაზუსტების დროს, ცხადია, სათანადო ანგარიში  
გაეწევა იმ ახალ მიმართულებას, რომელიც ნიადაგის დამუ-  
შავების სისტემისა და თესლბრუნვის საკითხში შეიტანა კოლ-  
მეურნე მეცნიერება ტ. მალცევმა. ამჟამად საქართველოში ეს  
საკითხები ფართოდ ისწავლება, მაგრამ როგორადაც არ უნდა  
გადაიჭრას ისინი, საქართველოს ბევრ რაიონში, ალბათ, სა-  
თანადო ადგილი დაეთმობა თესლბრუნვებს მრავალშობიანი  
ბალახების მონაწილეობით. ამიტომ ჩვენ ქვემოთ ვიხილავთ  
ორგანული სასუქების განაწილებას ნათესბალახიანი თესლ-

ბრუნვების მაგალითზე. რაც შეეხება ორგანული სასუქების კულტურათა შორის განაწილების სხვა შესაძლებელ შემთხვევებს, ჩვენ დაწვრილებით ვიხილავთ მას ბროშურის ზოგად ნაწილში და ცალკეული კულტურების განოყიერების გაშუქების დროს.

პირველი მაგალითი—10-მინდვრიანი მინდვრის თესლბრუნვა  
წითელწყაროს რაომნის ერთ-ერთი კოლმეტრუნეობისათვის

ନମ୍ବର	କୁଣ୍ଡଳୀ	ଅର୍ଥାନ୍ୟଲିଙ୍ଗ ସାମ୍ପର୍ଯ୍ୟ	ଗାନ୍ଧିଯିରେ	
			ମିନ୍ଦରାଲ୍ୟରେ	ସାମ୍ପର୍ଯ୍ୟ
1	ମରାଗାଲ୍ପିଲୀନାନି ଧା- ଳାକେବି . . . . .	—	ଗାତିଦିଵ୍ୟିଶ ଶେମଦ୍ୟେଶ ଗାମନ୍ଦ୍ୟେଶ ଫଳସ- ଫଳ-କାଲୋଚିତ	
2	ନିଃନିଃଶ୍ଵର	—	ନିଃନିଃଶ୍ଵର	
3	ସାହେମିନିଦିଗମିନ କନ୍ତର- ଦାଲି . . . . .	—	ମିନ୍ଦରାଲ୍ୟରେ ଗାନ୍ଧିଯିରେବା ଗରାନ୍ତ୍ୟ- ଲିନ୍ଦେବ୍ୟଲୀ ଶୁଦ୍ଧେରଫଳସଫ୍ରାତ୍ରିତ	
4	ସାହେମିନିଦିଗମିନ କନ୍ତର- ଦାଲି . . . . .	—	ମିନ୍ଦରାଲ୍ୟରେ ଗାନ୍ଧିଯିରେବା ଗରାନ୍ତ୍ୟ- ଲିନ୍ଦେବ୍ୟଲୀ ଶୁଦ୍ଧେରଫଳସଫ୍ରାତ୍ରିତ ଦା ଗାମନ୍ଦ୍ୟେଶ ଆଶୀର୍ବାଦ ଫଳସଫ୍ରାତ୍ରିତ	
5	ମିନ୍ଦେଶିନା . . . . .	20 ଟଙ୍କା		
6	ସାହେମିନିଦିଗମିନ କନ୍ତର- ଦାଲି . . . . .	—	ମିନ୍ଦରାଲ୍ୟରେ ଗାନ୍ଧିଯିରେବା ଗରାନ୍ତ୍ୟ- ଲିନ୍ଦେବ୍ୟଲୀ ଶୁଦ୍ଧେରଫଳସଫ୍ରାତ୍ରିତ ଦା ଗାମନ୍ଦ୍ୟେଶ ଆଶୀର୍ବାଦ ଫଳସଫ୍ରାତ୍ରିତ	
7	ସିମିନିଦାଳି . . . . .	20 ଟଙ୍କା		
8	ସାହେମିନିଦିଗମିନ କନ୍ତର- ଦାଲି . . . . .	—	ମିନ୍ଦରାଲ୍ୟରେ ଗାନ୍ଧିଯିରେବା ଗରାନ୍ତ୍ୟ- ଲିନ୍ଦେବ୍ୟଲୀ ଶୁଦ୍ଧେରଫଳସଫ୍ରାତ୍ରିତ ଦା ଗାମନ୍ଦ୍ୟେଶ ଆଶୀର୍ବାଦ ଫଳସଫ୍ରାତ୍ରିତ	
9	ମିନ୍ଦେଶିନା . . . . .	20 ଟଙ୍କା		
10	ସାହେମିନିଦିଗମିନ କନ୍ତର- ଦାଲି . . . . .	—	ମିନ୍ଦରାଲ୍ୟରେ ଗାନ୍ଧିଯିରେବା ଗରାନ୍ତ୍ୟ- ଲିନ୍ଦେବ୍ୟଲୀ ଶୁଦ୍ଧେରଫଳସଫ୍ରାତ୍ରିତ ଦା ଗାମନ୍ଦ୍ୟେଶ ଆଶୀର୍ବାଦ ଫଳସଫ୍ରାତ୍ରିତ	

ମିନିଟ୍‌ଫର୍ମିଳିଙ୍କର୍ମିଙ୍କ ନଂ	କ୍ଷୁଲତ୍ତର୍ମା	ଗାନ୍ଧି ପିଣ୍ଡ ରେଖା	
		ଅର୍ଥାନ୍ତର୍ମାଲି ସାହିତ୍ୟରେ	ମିନିଟ୍‌ରାଲ୍‌ଯୁକ୍ତ ସାହିତ୍ୟରେ
1	ମରାଗାଲ୍ପିଲିଙ୍କର୍ମାନି ଦା- ଲାକ୍ଷ୍ମୀବିଦିତ	—	ଗାତିଦ୍ୱାରିଲା ଶ୍ରେଷ୍ଠମାତ୍ର ଗାମନକ୍ଷେତ୍ରରେ ପ୍ରକାଶିତ
2	ନଗିବୀ	—	"
3	ନଗିବୀ	—	"
4	ନଗିବୀ	—	"
5	ସାହେମିନଦିଗମନ କ୍ଷେତ୍ରରେ	—	—
6	ଶ୍ରୀତତ୍ତ୍ଵିଲାଙ୍କର୍ମାନି ଦାଲା- କ୍ଷେତ୍ରରେ ଓ ସାହିତ୍ୟରେ କ୍ଷୁଲତ୍ତର୍ମାନି	—	—
7	ସାକ୍ଷେପି ଦିନକ୍ଷେତ୍ରରେ ଦା ସାହିତ୍ୟରେ କ୍ଷୁଲତ୍ତର୍ମାନି	40 ଟଙ୍କା	—
8	ସାହେମିନଦିଗମନ କ୍ଷେତ୍ରରେ	—	—

ମେଲାର୍ଯ୍ୟ ମାଗାଲିତି—10-ମିନିଟ୍‌ଫର୍ମିଳିଙ୍କର୍ମାନି ମିନିଟ୍‌ଫର୍ମିଳିଙ୍କର୍ମାନି ତ୍ୟସଲଦରୁଣ୍ୱା  
ଜାରିତାଳିଲା ଶ୍ରୀତ-ଶ୍ରୀତର କ୍ଷେତ୍ରରେ ପ୍ରକାଶିତ

ମିନିଟ୍‌ଫର୍ମିଳିଙ୍କର୍ମିଙ୍କ ନଂ	କ୍ଷୁଲତ୍ତର୍ମା	ଗାନ୍ଧି ପିଣ୍ଡ ରେଖା	
		ଅର୍ଥାନ୍ତର୍ମାଲି ସାହିତ୍ୟରେ	ମିନିଟ୍‌ରାଲ୍‌ଯୁକ୍ତ ସାହିତ୍ୟରେ
1	ମରାଗାଲ୍ପିଲିଙ୍କର୍ମାନି ଦା- ଲାକ୍ଷ୍ମୀବିଦିତ	—	ଗାତିଦ୍ୱାରିଲା ଶ୍ରେଷ୍ଠମାତ୍ର ଗାମନକ୍ଷେତ୍ରରେ ପ୍ରକାଶିତ
2	ନଗିବୀ	—	"
3	ସାହେମିନଦିଗମନ ଶତର- ଦାଲାନି	—	ମିନିଟ୍‌ରାଲ୍‌ଯୁକ୍ତ ଗାନ୍ଧି ପିଣ୍ଡ ରେ ପ୍ରକାଶିତ ନଗିବୀ
4	ଶାକ୍ରିଲା ପ୍ରାଚୀରଦାଳା	20 ଟଙ୍କା	ମିନିଟ୍‌ରାଲ୍‌ଯୁକ୍ତ ଗାନ୍ଧି ପିଣ୍ଡ ରେ ପ୍ରକାଶିତ ଶାକ୍ରିଲା
5	ସାହେମିନଦିଗମନ ଶତର- ଦାଲାନି	—	ମିନିଟ୍‌ରାଲ୍‌ଯୁକ୍ତ ଗାନ୍ଧି ପିଣ୍ଡ ରେ ପ୍ରକାଶିତ ଶାକ୍ରିଲା
6	ସାହେମିନଦିଗମନ ଶତର- ଦାଲାନି	—	ମିନିଟ୍‌ରାଲ୍‌ଯୁକ୍ତ ଗାନ୍ଧି ପିଣ୍ଡ ରେ ପ୍ରକାଶିତ ନଗିବୀ
7	ସିମିନିଦିତ	20 ଟଙ୍କା	ମିନିଟ୍‌ରାଲ୍‌ଯୁକ୍ତ ଗାନ୍ଧି ପିଣ୍ଡ ରେ ପ୍ରକାଶିତ ଶାକ୍ରିଲା
8	ସାହେମିନଦିଗମନ ଶତର- ଦାଲାନି	—	ମିନିଟ୍‌ରାଲ୍‌ଯୁକ୍ତ ଗାନ୍ଧି ପିଣ୍ଡ ରେ ପ୍ରକାଶିତ ଶାକ୍ରିଲା

მინდვრის №	კულტურა	განოყიერება	
		ორგანული სასუქი	მინერალური სასუქი
9	სიმინდი . . . .	40 ₾/ჰა	—
10	საშემოდგომო ხორ- ბალი . . .	—	მჭკრივული განოყიერება გრან. სუპერფოსფატით და გამოკვება აზოტ-ფოსფორით

იქვე, საკვები თესლბრუნვა

მინდვრის №	კულტურა	განოყიერება	
		ორგანული სასუქი	მინერალური სასუქი
1	მრავალწლიანი ბა- ლახები . . . .	—	გათიბვის შემდეგ გამოკვება ფოსფორ-კალიუმით
2	იგივი . . . .	—	ი გ ი ვ ე
3	იგივე . . . .	—	—
4	იგივე . . . .	—	—
5	კომბოსტო და კიტ- რი . . . .	—	სრული მინერალური სასუქი (ფოსფორ-კალიუმი მთელი დოზა, აზოტი—ნახევარი)
6	პამიდორი . . . .	40 ₾/ჰა	სრული მინერალური სასუქი
7	საკვები ძირხვენები და სასილოსე კულ- ტურები	—	—
8	საშემოდგომო ქერი	—	—

ඩීසාම් මාගාලිගි—10-මත්දුරුගානි මින්දුරු තෝසල්චේෂණය  
අභ්‍යාලන්දායි රාජ්‍යාලියාලාව

මින්දුරු න්‍ය	කුළුත්තරා	ග අ න ප අ ඉ ග බ අ	
		ඉරුගානුලි සාසුශී	මින්දුරාලුරි සාසුශී
1	මරාගාල්පූලිගානි බා- ලාජේධි . . . . .	—	ගාතිබුදු මුදුහැරු ප්‍රාග්‍රෑහී-කාලිජුමිත
2	රුධිවේ . . . . .	—	රුධිවේ
3	සාගාථාග්‍රූහුලු බෙරු- දාලි . . . . .	—	ගාමුකුවේදා—ජ්‍යෙෂ්ඨ-ප්‍රාග්‍රෑහී-කාලිජුමිත
4	ජාරුට්‍රෝගිලි මින්දුරාලුරි සාගාථාග්‍රූහුලු බෙරු- දාලි . . . . .	20-30 උ/කා	ස්‍රිලංකා මින්දුරාලුරි සාසුශී
5	සාගාථාග්‍රූහුලු බෙරු- දාලි . . . . .	—	—
6	සාගාථාග්‍රූහුලු ජේරි යේරි	—	—
7	ජේරිග්‍රූහිගානි ජාරුවෙ- ස්‍රිලංකා මින්දුරාලුරි	—	ඩිරිතායු මුදුහැරු ප්‍රාග්‍රෑහී-කාලිජුමිත
8	සාගාථාග්‍රූහුලු ජේරි යේරි	—	—
9	සුශ්‍රාතා අනුෂ්‍ලි . . . . .	40 උ/කා	—
10	සාම්බමදගම්ම බෙරු- දාලි . . . . .	—	ම්‍රියාලුව්‍යි, තෝසල් දරුව්‍ය ප්‍රාග්‍රෑහී-කාලිජුමිත

ඒවා, සාක්ෂිය තෝසල්බරුනුවා

මින්දුරු න්‍ය	කුළුත්තරා	ග අ න ප අ ඉ ග බ අ	
		ඉරුගානුලි සාසුශී	මින්දුරාලුරි සාසුශී
1	මරාගාල්පූලිගානි බා- ලාජේධි . . . . .	—	ගාතිබුදු මුදුහැරු ප්‍රාග්‍රෑහී-කාලිජුමිත රුධිවේ
2	රුධිවේ . . . . .	—	—
3	රුධිවේ . . . . .	—	—
4	රුධිවේ . . . . .	—	—
5	සාසුශී කුළුත්ත- රුධිධි . . . . .	—	—
6	සාක්ෂිය ඩිරිතාවෙ- දි මින්දුරාලුරි	40 උ/කා	—
7	සාගාථාග්‍රූහුලු ජේරි	—	—



ახლა განვიხილოთ ძირითადი მინდვრის უფლტურების ორგანული სასუქით განოყიერების მთავარი საკითხები.

შაქრის ჭარხალი. სათოხნ კულტურებზე ნაკელი საერთოდ კარგად მოქმედებს, მეტადრე კი ისეთ მცენარეებზე, რომელთაც ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდი აქვთ. ასეთ მცენარეებს მიეკუთვნება შაქრის ჭარხალი. ორგანული სასუქის შედარებით ჰატარა ნორჩებიც კი—15—20 ტონა ერთ ჰა-ზე—შაქრის ჭარხლის მოსავლიანობას, ადგილობრივი ნიადაგურ-კლიმატური პირობების მიხედვით 30—50 ც-ით ზრდის (იხ. ცხრილი).

#### ცხრილი 10

ნაკელის მოქმედება სხვადასხვა ნიადაგზე (ურწყავად) შაქრის-ჭარხლის ძირების მოსავალზე (ც-ით ერთ ჰა-ზე)

ნიადაგი	უნაკელო	ერთ ჰა-ზე 18 ტონა ნაკელით განოყიერებული
გაეწრებული ნიადაგები . . .	187	237
დიდი სისქის შავმიწები . . .	215	247
ტყის რუხი ნიადაგები . . .	125	166

კიდევ უფრო მაღალია ორგანული სასუქის ეფექტი სარწყავ მიწებზე ყირგიზეთში, საქართველოში და სხვ., სა-დაც შაქრის ჭარხლის მოსავლის მატება ნაკელით განოყიერების შედეგად ჰა-ზე 100—200 ც-ს აღწევს (იხ. ცხრილი 11).

#### ცხრილი 11

ნაკელის მოქმედება შაქრის ჭარხლის მოსავლიანობაზე სარწყავ მიწებზე (ძირების მოსავალი ც/ჰა-ზე)

ცხის ჩატარების ადგილი	ნიადაგი	ნ/კ გ/ჰა	მოსავლის მატება ნაკელისაგან	
			20 ტ/ჰა	40 ტ/ჰა
ყარგიზეთის საცდელი სადგური ალმა-ატის საცდელი მინდორი ჯამბულის საყრდენი პუნქტი საქართველოს მემინდვრეობის ინსტიტუტის გორის საყრდენი პუნქტი . . .	ღია წაბლა	273.	116	206
	"	316	77	127
	რუხი	540	118	—
	ალუვიურო-შდელოს	159	116	153



შაქრის ჭარხლის განოყიერების დროს სასუქი საც-ხე სუქთან ერთად აუცილებლად იყენებენ მინერალურ სასუქებ-საც. ასეთი განოყიერების შედეგად მოსავლის მატება ჰა-ზე ხშირად 250—300 ცენტნერს აღწევს.

მინერალურ სასუქთან ერთად ორგანული სასუქი საკმა-რისია შევიტანოთ 18—20 ტონის რაოდენობით ერთ ჰა-ზე. უფრო მაღალი ნორმების გამოყენება მიზანშეწონილი არ არის: უმჯობესია გავანოყიეროთ მეტი ფართობი, ვიდრე ერთ ჰეტიარ საჭარხლე ნაკვეთზე შევიტანოთ 40 ან მეტი ტონა ორგანული სასუქი. თუ ამ სასუქთა რესურსები უფრო მეტია, მაშინ უმჯობესია გავადიდოთ ნორმები ბოსტნეული კულტურებისათვის, კარტოფილისათვის.

ნაკელის გარდა, შაქრის ჭარხლის გასანოყიერებლად გამოიყენება ქათმის ნაკელი, ნაკელის წუნწუხი და სხვა სწრაფმოქმედი ორგანული სასუქები. ისინი უნდა გიხმაროთ მცენარეთა გამოსაკვებად ვეგეტაციის განმავლობაში.

ორგანული სასუქის სხვა სახეებიდან უდიდესი მნიშვნე-ლობა აქვს მწვანე სასუქს, რომელიც ამჟამად სრულიად არ არის გამოყენებული. აღმოსავლეთ საქართველოს მექარხლე-ობის ზონის სარწყავ მიწებზე შაქრის ჭარხლის წინამორბედი კულტურის — საშემოდგომო ხორბლის აღებისთანავე თუ ნაკ-ვეთს მოვხნავთ და დავთესავთ ცერცველას, ცულისპირას ან ბარდას, შემოდგომამდე შეგვიძლია მივიღოთ 20 ტონამდე მწვანე მასა, რომელიც უნდა ჩაიხნას ნიადაგში მზრალად ხვნის დროს. ამ წესით განოყიერებულ ნაკვეთზე მივიღებთ ჰა-ზე შაქრის ჭარხლის 80—100 ც-ით მეტ მოსავალს, ვიდ-რე გაუნოყიერებელ ნაკვეთზე. ამიტომ მწვანე სასუქის გამო-ყენება ფართოდ უნდა გავრცელდეს მექარხლეობის ზონაში.

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი სარწყავი ზონის ზოგ რაიონში — გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, თბილი-სის — შაქრის ჭარხალი შეიძლება მოვიყვანოთ არა მარტო ჩვეულებრივი საგაზაფხულო ნათესების, არამედ აგრეთვე სა-ნაწვერალო ნათესების სახითაც. ნაწვერალზე დათესილი შაქ-რის ჭარხალი იმავე წელს მეორე მოსავალს გვაძლევს, რო-

მელიც უდრის ჰა-ზე 150—200 ც-ს, ძირების შაქტის მაღალია—20—22%. ძირების მოსავლის გარდა საყურადღებოა აგრეთვე ფოთლების მოსავალიც—200 ც-მდე ერთ ჰა-ზე. იგი საუკეთესო სასილოს მასაა, რომელიც მდიდარია როგორც შაქრით, ისე ცილებით. სანაწვერალო შაქრის ჭარხალი უნდა მოთავსდეს ორგანული სასუქით წინა წლებში კარგად განვითარებულ მინდორზე, უშუალოდ კი იგი უნდა გავანოყიეროთ მარტო მინერალური სასუქით.

**თამბაქო.** ორგანული სასუქებიდან თამბაქოს გასანოყიერებლად გამოიყენება ნაკელი და მწვანე სასუქი. ნაკელის დოზა, ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით, უდრის 20—40 ტონას ერთ ჰა-ზე. ნაკელის უფრო მეტი რაოდენობით გამოყენება არ არის მიზანშეწონილი, რადგან გამოიწვევს თამბაქოს ხარისხის გაუარესებას. ნაკელი შეიტანება ნიადაგში მზრალად ან ზამთარში ხვინის დროს.

ზომიერი ნორმებით შეტანილი ნაკელი არამცთუ არ აუარესებს თამბაქოს ხარისხს, არამედ აუმჯობესებს კიდევაც მას. აი, მაგალითად, ამ საკითხზე ჩატარებული ერთ-ერთი ცდის შედეგები (იხ. ცხრილი 12).

### ცხრილი 12

ნაკელის გავლენა თამბაქოს მოსავლიანობაზე და მოსავლის ხარისხზე

განყოფება	ფოთლის მოსავლი		ფოთლის ხარისხი (პროცენტობით)		
	ც/ჸ	%	III	IV	V
უსასუქოდ . . . . .	20,5	100	21,2	63,5	14,7
აზოტ-ფოსფორ-კალიუმი (N 30) P 90 K 100) . . . . .	22,5	110,7	20,4	60,4	19,2
20 ტონა ნაკელი ჰა-ზე . . . . .	23,5	114,9	19,5	60,2	20,3
" +სუპერფოსფატი . . . . .	24,5	119,8	24,4	59,3	16,3

თამბაქოს მოსავლის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მწვანე სასუქს. თუ თამბაქო ხორბლის შემდეგ მოდის, მაშინ მწვანე სასუქად ერთწლიანი პარკოსანი მცენარეები—საგაზაფხულო ცერცველა, ბარდა ან ცულისპირა



უნდა დაითესოს ოოგორც სანაწვერალო კულტურული მათგანი მწვანე მასა ჩაიხვნება ნიადაგში მზრალად ხვნის დროს. მწვანე სასუქის ასეთი ფორმა გამოსადეგია აღმოსავლეთ საქართველოს მეთამბაქოების სარწყავ რაიონებში: ლაგოდეხის, მარნეულის რაიონებში.

სხვა შემთხვევაში მწვანე სასუქად აღრე შემოდგომაზე წინა კულტურებისაგან, მაგალითად, კარტოფილისაგან, აღრეული სიმინდისაგან, განთავისუფლებულ ნაკვეთზე ითქსება სუფთა ცერცველა ან ცერცველა-ჭვავის ნარევი, ან საგაზაფხულო ბარდა, რომელიც მომდევნო გაზაფხულზე ჩაიხვნება ნიადაგში. ასეთი განოყიერება 35 და მეტი პროცენტით ზრდის თამბაქოს მოსავლიანობას (იხ. ცხრილი 13), მის ხარისხზე კი უარყოფითად არ მოქმედებს.

### ცხრილი 13

მწვანე სასუქის მოქმედება თამბაქოს მოსავლიანობაზე (აფხაზეთში)

განოყიერება	ჩახნული მწვანე მასა ც/ჰა-ზე	ფოთლის მოსავალი	
		ც/ჰა	%
გაუნოყიერებელი . . . . .	—	7,6	100
ცერცველა, გაზაფხულზე მწვანე სასუქად ჩახნული . . . . .	25,0	10,2	135
ჩამთარში მწვანე სასუქად ჩახნული . . . . .	39,4	11,6	154

მჟავე ნიადაგზე ცერცველა-ჭვავის ნარევის, ან ბარდას მაგიერ ითესება ლურჯი ხანჭკოლა.

მწვანე სასუქად დათესილი პარკოსანი მცენარეები შეიძლება ორგვარად გამოვიყენოთ: მწვანე მასა გავთიბოთ და საქონლის საკვებად გამოვიყენოთ, ხოლო მიწისზედა მცენარეული ნარჩენი და ფესვები ჩავხნათ ნიადაგის გასანოყიერებლად. ასეთი განოყიერების შედეგად თამბაქოს მოსავალი უფრო ნაკლებ გაიზრდება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა მთელი მწვანე მასა იხვნება ნიადაგში, მაგრამ სამაგიეროდ 20—25 ტონა საუკეთესო მწვანე საკვებს ვლებულობთ ერთი ჰექტრადან.



კარტოფილი. კარტოფილი ეკუთვნის კულტურაზე იმ ჯგუფს, რომელზეც ორგანული სასუქი განსაკუთრებით კარგად მოქმედებს. ამიტომ კარტოფილის განოყიერების სისტემაში ორგანული სასუქი აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს.

ნაკელის საშუალო ნორმა ერთ ჰა-ზე—30—40 ტონა—აღიდებს კარტოფილის ტუბერების მოსავლიანობას 20—60 ცენტნერით (იხ. ცხრილი 14).

#### ცხრილი 14

ნაკელის მოქმედება კარტოფილის ტუბერების მოსავლიანობაზე (კარტოფილის მეურნეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ცნობების მიხედვით)

ნიადაგი	მოსავალი გაუნოყიერ- ებლად ც/ჰა-ზე	მოსავლის მატება ნაკელით განოყიერებისაგან (ც/ჰა-ზე)	
		ნაკელი 18 ტ/ჰა-ზე	ნაკელი 36 ტ/ჰა-ზე
ლონიერი შავმიწა . . . .	150	13	25
გამოტუტული შავმიწა . . . .	96	28	48
თიხნარი ეჭვირი . . . .	81	22	42
ქვიშნარი ეჭვირი . . . .	106	39	59

კიდევ უკეთეს შედეგს გვაძლევს კარტოფილის ერთ-დროულად განოყიერება ორგორც ორგანული, ისე მინერალური სასუქებით. მაგალითად, კარტოფილის მეურნეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ცდების მიხედვით, კარტოფილის მოსავლიანობა გაიზარდა ჰა-ზე: მარტო 36 ტონა ნაკელით განოყიერებულ ნაკვეთზე 55 ც-ით, სრული მინერალური სასუქით (NPK) განოყიერებულზე 54-ც-ით, ხოლო იქ, საღაც ორივე საჩის სასუქი გამოიყენეს, 95 ც-ით. ამჟამად ორგანულ სასუქთან ერთად აგრეთვე მინერალური სასუქის გამოყენება განსაკუთრებით ხელსაყრელია კოლმეურნეობებისათვის, ოდგან საბჭოთა კავშირის კ. პ. ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენურის დადგენილების საფუძველზე მინერალური სასუქები კარ-



ტოფილისა და ბოსტნეულის გასანოყიერებლად მომდევნობაში შეიძინოს და ნატურით გადახადოს სასუქის ლირებულება. ის სასუქი, რაც ერთი ჰექტარი კარტოფილის გასანოყიერებლად არის საჭირო, კოლმეურნეობას დაუჯდება მხოლოდ 2—3 ც კარტოფილი; ამ სასუქს კი შეუძლია მისცეს მოსავლის 50—60 ც-ით მატება.

კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი წესით დარგვის დროს ორგანული სასუქი უმჯობესია შევიტანოთ ბუდნებში, კარტოფილის დარგვასთან ერთდროულად. მაგალითად, ერთ-ერთ ცდაში, იქ. საღაც ნაკვეთის მოხვნის წინ შეიტანეს ერთ ჰა-ზე 15 ტონა ნაკელი, მოსავალი ჰა-ზე 24 ც-ით გაიზარდა, ხოლო მეორე ნაკვეთზე, რომელზეც შეიტანეს მარტო 5 ტონა, ე. ი. სამჯერ უფრო ნაკლები დოზა, ოღონდ არა მთელ ფართობზე მოხვნის წინ მობნევის წესით, არამედ კარტოფილის დარგვის დროს ბუდნებში, კარტოფილის მოსავლის მატება 25 ც-ს უდრიდა. მოსკოვის ოლქში კარტოფილის მეურნეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა 1952 წელს ასეთი ცდა ჩაატარა: ერთ ნაკვეთზე, მთელ ფართობზე მობნევის წესით, შეიტანეს 30 ტონა ნაკელი ერთ ჰა-ზე, მეორეზე კი—15 ტონა ნაკელი ერთ ჰა-ზე შეიტანეს ბუდნებში კარტოფილის დარგვის დროს. მოსავალი პირველ შემთხვევაში 268,3 ც მიიღეს, მეორე შემთხვევაში კი თითქმის იმდენივე—244 ც, ე. ი. მოსავალი ბევრად არ განსხვავდება, სასუქის ეკონომია კი დიდია. ძალიან ხშირად კარტოფილის დარგვის დროს ბუდნებში შეაქვთ ნაკელის კიდევ უფრო მცირე ნორმები 3—5 ტონა ჰა-ზე და მაინც კარგ შედეგს იღებენ.

ამგვარად ორგანული სასუქის ბუდნებში კარტოფილის დარგვის დროს შეტანის წესი საშუალებას გვაძლევს, მოსავლის შეუმცირებლად, სასუქის ერთი და იმავე რაოდენობით 2—3-ჯერ მეტი ფართობი გავანოყიეროთ, ვიდრე სასუქის მთლიანი მობნევის წესის გამოყენების დროს.

მაგრამ, ოოლესაც კარტოფილს კვადრატულბულობრივი წესით სპეციალური მანქანით—СКГ-4-ით რგვენ, მაშინ ორგანულ სასუქს ბუღნებში ვერ შევიტანთ, რადგან ამ მანქანას ნაკელის გამომთესი მოწყობილობა არა აქვს, მას შეუძლია დარგვის ერთდროულად ბუღნაში გამოთხესოს დაახლოებით 1,5 ც გრანულირებული სუპერფოსფატი. ამიტომ ამ შემთხვევაში საკარტოფილე ნაკვეთზე ნაკელი წინასწარ უნდა შევიტანოთ ან მზრალად ხვნის, ან მზრალის გაზაფხულზე აოშვის დროს. მაგალითად, მოსკოვის ოლქის, მოუაისკის რაიონის კოლმეურნეობა „ბოროდინოში“ ა. ერმაკოვის რეკლამა, რომელმაც 1953 წელს ხსენებული მანქანით 8 ჰა კარტოფილი დარგო და თითოეული ჰექტორიდან 542 ც ტუბერი მიიღო, განოყიერების შემდეგი სისტემა გამოიყენა: ერთ ჰა-ზე მზრალის გადახვნის დროს გაზაფხულზე შეიტანა 30 ტონა ნაკელ-ფოსფორიტის კომპოსტი, 2 ცენტ-ნერი სუპერფოსფატი და 1,5 ც ქლორკალიუმი; კარტოფილის დარგვის დროს СКГ-4-ით შეიტანა თითოეულ ჰა-ზე 1 ც გრანულირებული სუპერფოსფატი; ამის გარდა, კარტოფილი გამოკვება ორჯერ: რიგთშორისების პირველი გაფხვიერების დროს ამონიუმის გვარჯილით, მეორე გაფხვიერების დროს კი ფოსფორ-კალიუმით.

თუ კარტოფილის კვადრატულ-ბუღლობრივი წესით დარგვას კულტივატორით ვაწარმოებთ (КОН-2,8 ან КУТС-2,8) დაკვალულ ნაკვეთებზე, მაშინ ორგანული სასუქი უნდა შევიტანოთ ბუღნებად. ამისათვის დასარგავ ფართობზე ნაკელი მიზიდული უნდა იქნეს დაკვალვის შემდეგ და დაიყაროს გროვებად ერთი მიმართულებით, დაახლოებით ყოველ 50 მეტრზე, ხოლო შეორე მიმართულებით ყოველი 16 კვალის გამოშვებით. გროვებიდან აღებულ ნაკელს ანაწილებენ ბუღნებში, თითოეულ ბუღნაში ყრიან 0,5 კგ-ს. ეს მოგვცემს ჰა-ზე (20400 ბუღნა) დაახლოებით 10 ტონას. ნაკელი ბუღნაში ისე უნდა ჩავყაროთ, რომ მისი შუაგული, სადაც კარტოფილის 2 ტუბერი მოთავსდება, თავისუფალი დარჩეს. ეს საჭიროა იმისა-

თვის, რომ ბუდნის დახურვის დროს არ შევამციროთ ტუბენის ნიადაგში მოთავსების სიღრმე.

ასეთია ორგანული სასუქების გამოყენების სისტემა იმ ნაკვეთებისათვის, სადაც კარტოფილს გაზაფხულზე ვრგავთ. მაგრამ საქართველოს დაბლობ ზონაში თანდათან ვრცელდება კარტოფილის ზაფხულში რვა-, რომელიც იქ ბევრად უკეთესია, ვიდრე გაზაფხულზე რვა. ზაფხულში დარგული კარტოფილის განოყიერება კი თავისებურ მიღვომას წილით მიღვინა, რადგან მისი ზრდა-განვითარების პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ პირობისაგან, რომელშიც გაზაფხულზე დარგული კარტოფილის ზრდა-განვითარება მიმდინარეობს. გაზაფხულზე დარგულ კარტოფილზე ორგანული სასუქი კარგად მოქმედებს, ზაფხულში დარგულზე კი უფრო სუსტად, მას უფრო კარგად უხდება მინერალური სასუქით განოყიერება. ეს იმით აიხსნება, რომ ზაფხულში დარგული კარტოფილის სავეგეტაციო პერიოდი მოკლეა, ნაკელი კი ნელმოქმედი სასუქია. მაგალითისათვის მოგვიავს გარდაბნის სარწყავ მიწებზე მეცნიერების კანდიდატის ა. მიქელაძის მიერ 1949—50 წწ. ჩატარებული ცდების შედეგები (იხ. ცხრ. 15.).

### ცხრილი 15

ზაფხულში დარგული კარტოფილის მოსავალი ც/ჰა-ზე (ორი წლის საშუალო)

განოყიერება	მოსავალი ც/ჰა-ზე	მატება	
		ც/ჰა	%
გაუნოყიერებელი . . . . .	151,6	—	—
40 ტონა ნაკელი ჸა-ზე . . . . .	163,5	11,9	7,2
მინერალური სრული სა-სუქი ხვნის წინ . . . . .	159,8	8,2	5,4
იგივე და ორი გამოკვება მინერალური სასუქით . . . . .	178,3	26,7	10,8

იქ, ხადაც კარტოფილს ზაფხულში რგავენ, ნაკელი და სხვა ორგანული სასუქი უმჯობესია გამოვიყენოთ ბოსტე-



ულის და სხვა კულტურების გასანოუიერებლად; ხოლო ზაფ-  
ხულში კარტოფილის დასარგავად შევარჩიოთ ისეთი ნაკვე-  
თი, რომელიც წინა წელს განოუიერებული იყო როგორც  
ორგანული, ისე მინერალური სასუქებით. ამ შემთხვევაში  
ზაფხულში დარგული კარტოფილი საკმარისია ვეგეტაციის  
მანძილზე ორჯერ გამოვკვებოთ მინერალური სასუქით (აზოტ-  
ფოსფორ-კალიუმი).

**შარცვლეული კულტურები.** ორგანულ სასუქებს ნაკ-  
ლებობის გამო საქართველოში მარცვლეული კულტურების  
გასანოუიერებლად მცირე რაოდენობით იყენებენ და, თუ  
იყენებენ, უმთავრესად ისეთ რაიონებში, სადაც ტექნიკური  
კულტურები, ბოსტნეული და კარტოფილი ნაკლებად მოჰყავთ.  
მაგრამ ნაკელის დაგროვების გადიდებასთან ერთად მისი  
გამოყენება ამ მიზნით თანდათანობით უნდა გაფართოვდეს.  
შარცვლეული კულტურებიდან ყველაზე უფრო მიზანშეწონი-  
ლია სახორცლე და სასიმინდე ნაკვეთების ნაკელით განოყი-  
ერება. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ ნაკელისა და  
მინერალური სასუქების ერთდროული გამოყენება.

სახორცლე ფართობებიდან ნაკელით პირველ რიგში  
უნდა განოყიერდეს საშემოდგომო და ადრეული ანეული.  
ადრეულ, საგაზაფხულო ანეულებზე ნაკელი უნდა შევიტანოთ  
ძირითადი ხვნის დროს, აპრილში-მაისში; საშემოდგომო ანუ  
შავ ანეულზე მშრალ, ურწყავ რაიონებში—ნაკვეთის მხრა-  
ლად ხვნის დროს, ხოლო ტენიან და სარწყავ რაიონებში  
აოშვის ან გადახვნის დროს. ნაკელის დოზა—20—40 ტონა  
ერთ ჰექტარზე, ადგილობრივი ნიადაგურ-კლიმატური პირო-  
ბების მიხედვით, ხორბლის მოსავალს ადიდებს 2,5 ც-დან  
8,5 ც-მდე. ნაკელის დოზა დამოკიდებულია ნიადაგის ნაყო-  
ფიერებაზე და იმაზე, თუ რამდენად ხშირად ვანოუიერებთ  
ნაკვეთს ნაკელით; დაბალნაყოფიერ ნიადაგებზე და იმ შემ-  
თხვევაში, როცა ნაკელით განოუიერებას სისტემატური ხასი-  
ათი არა იქნა, ნაკელის დოზა უნდა უდრიდეს 30—40 ტონას  
ერთ ჰექტარზე, ხოლო უფრო გაკულტურებულ ნიადაგებზე  
და ნაკელის სისტემატური ხმარების შემთხვევაში—15—20



ტონას. კიდევ უფრო მიზანშეწონილია ნაკელის მინერალური სასუქის ერთდროული გამოყენება, რადგან ამ შემთხვევაში მოსავლის მატება ბევრად აღემატება იმ მატების ჯამს, რომელსაც მივიღებდით, რომ ნაკელი და მინერალური სასუქი ცალ-ცალკე შეგვეტანა, სხვადასხვა ნაკვეთზე. ასე მაგალითად, ბოლნისის რაიონის სოფ. ქოჩულოში ნაკელისა და მინერალური სასუქის ერთდროულმა გამოყენებამ ასეთი შედეგი მოგვცა:

#### ცხრილი 16

საშემოდგომო ხორბლის მოსავლის მატება ნაკელისა და  
მინერალური სასუქის ერთდროული გამოყენებით

განოყიერება	მარცვლის მოსავალი ტ/ჰა-ზე	მატება	
		ტ/ჰა	%
გაუნოფიერებელი . . . . .	5,4	—	—
მარტო მინერალური სასუქი (NPK) . . . . .	9,9	4,5	83
მინერალური სასუქი და ნაკვლი 20 ტ/ჰა . . . . .	16,6	11,2	107

კასპის რაიონის სოფ. ქვეშო ხანდაკში, ღიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში სრულმა მინერალურმა სასუქმა (NPK) საშემოდგომო ხორბლის მოსავალი ერთ ჰექტარზე 6,6 ცენტნერით გაადიდა, ნაკელმა—3,5 ტ-ით, ხოლო ნაკელმა და მინერალურმა სასუქმა ერთად—8,4 ტ-ით.

თუ ნაკელთან ერთად შინერალურ სასუქსაც გამოვიყენებთ, მაშინ ეს უკანასკნელი ჩვენს პირობებში უფრო მიზანშეწონილია, რომ შევიტანოთ მწკრივში, თესვის დროს (გრანულირებული სუპერფოსფატი) და ჯეჯილის გამოსაკვებად გაზაფხულზე, ფარცხვის წინ.

მინერალური სასუქის გამოყენება ხორბლის გასანოყიერებლად, რასაკვირველია, საჭიროა აგრეთვე ყველა დანარ-

ჩენ ფართობზე, საღაც ორგანული სასუქი არ შეგვატეს, მათ შოთა  
რის ისეთ ნაკვეთებზეც, რომლებზედაც წინა წელს შეტა-  
ნილი იყო ნაკელი ან ჩახნული იყო მწვანე სასუქი. ორგანუ-  
ლი სასუქით ნიადაგის წინა წელს განოყიერება საუკეთესო  
პირობებს ქმნის მინერალური სასუქების მოქმედებისათვის  
და ადიდებს მათ ეფექტს.

ზემოთ გვქონდა მოხსენებული აკად. ტ. ლისენკოს  
წინადადება გადამწვარი ნაკელისა და მინერალური სასუქის  
ერთდროული გამოყენების შესახებ. ამ შემთხვევაში ეს სასუ-  
ქები შეაქვთ ნიადაგში ხნულის თესვისწინა კულტივაციის  
დროს. ასეთი წესი მეტად საყურადღებოა საქართველოს პი-  
რობებისათვის, რადგან იგი სასუქების დაბალ ნორმებს საჭი-  
როებს—3—5 ტონა გადამწვარ ნაკელს და 2—3 ცენტნერ  
სუპერფოსფატს. ამიტომ ამგვარი განოყიერება ფართოდ უნდა  
გამოიცადოს და დაინერგოს ჩვენს საკოლმეურნეო შინდვ-  
რებზე.

თუ ნაკელის და სხვა ორგანულ სასუქთა რესურსები  
ამის საშუალებას გვაძლევს, მაშინ ის უნდა შევიტანოთ სასი-  
მინდე ნაკვეთზე, რადგან სიმინდი, როგორც სხვა სათოხნი  
კულტურები, კარგად ანაზღაურებს ორგანული სასუქით გა-  
ნოყიერებას, მეტადრე თუ მას მინერალურ სასუქსაც დაყუ-  
მატებთ. ამ შემთხვევაში სიმინდის მარცვლის მატება აღწევს  
8—10 ცენტნერს ერთ ჰა-ზე. მაგალითად, მუხრანის ველზე,  
სარწყავ ნაკვეთებზე მემინდვრეობის საცდელი საღგურის მიერ  
ჩატარებული ცდების მიხედვით (იხ. ცხრ. 17) ჰა-ზე 20 ტონა  
ნაკელისა და აზოტ-ფოსფორინი სასუქების ერთდროული შე-  
ტანის შედეგად სიმინდის მარცვლის მოსავალი ერთ ჰა-ზე  
გაიზარდა 10,7 ც-ით.

ნიადაგის თვისებების მიხედვით, სიმინდის გასანოყი-  
ერებლად ნაკელი გამოიყენება 20—40 ტონის რაოდენობით  
ერთ ჰა-ზე. თუ მინერალურ სასუქსაც ვხმარობთ, მაშინ მიზან-  
შეწონილია ნაკელის უფრო დაბალი დოზები ვიზმაროთ—არა  
უმეტეს 20 ტონისა ერთ ჰა-ზე.



სიმინდის გასანოყიერებლად სარწყავავ მიწერებულზებულ  
უფრო მეტად საყურადღებოა მწვანე სასუქი, მეტადრე თუ  
მას დავთესავთ წინა ხორბლის ან ქერის მოსავლის აღების  
შემდეგ, როგორც სანაწვერალო პულტურას. მწვანე სასუქად

### ცხრილი 17

სასუქების მოქმედება სიმინდის მოსავალზე

განოყიერება	მარცვლის მოსავალი ც/ჰა	მატება	
		ც/ჰა	%
გაუნოყიერებელი . . . .	39,2	—	—
20 ტონა ნაკელი ჰა-ზე .	42,2	3,0	8
" + აზოტ-ფოსფორი	49,9	10,7	27

ითხესება ცულისპირა, ბარდა ან ცერცველა. თესვას აწარმოებენ აგვისტოს პირველ ნახევარში, წინასწარ, პურეულის მოსავალის აღებისთანავე მოხნულ ნაკეთზე. გაზრდილი მწვანე მასა ნიადაგში ჩაიხვნება მზრალად ხვნის ღროს. ძწვანე სასუქი სიმინდის მოსავალს არა ნაკლებ ადიდებს, ვიდრე ნაკელი, ხოლო მისი მოქმედების ხანგრძლიობა თესლბრუნვაში 3—4 წელს და მეტსაც გრძელდება, ნაკელის მოქმედება კი უფრო ხანმოკლეა — არა უმეტეს 2—3 წლისა. მაგრამ შუალედი სანაწვერ-ლო მწვანე სასუქის გამოყენება შეიძლება მარტო სარწყავ მიწებზე, რადგან ურწყავად ზაფხულში ძნელია დათხესილა თესლიდან ნორმალური აღმონაცენის მიღება, მასთან აღმონაცენის ზრდა მეტად შეფერხებული, არანორმალური იქნება და საკმაო რაოდენობის მწვანე მასას ვერ დავაგროვებთ. გაზაფხულზე თესვის შემთხვევაში კი მწვანე სასუქი, მართალია, უფრო შედეგიანი იქნება, მაგრამ ამ შემთხვევაში მას დამოუკიდებელი მინდორი უნდა დავუთმოთ.

ბოსტნეული კულტურები. ბოსტნეულის განოყიერების სისტემაში ორგანული სასუქი მთავარ როლს ასრულებს, მაგ-

რამ მასთან ერთად მინერალური სასუქიც საჭიროა მუშადრების მცენარეთა გამოსაკვებად.

ბოსტნეული კულტურებიდან ნაკელით უშუალოდ უნდა გავანიყიეროთ კომპოსტო, პამიდორი, ბადრიჯანი, გოგრი, კიტრი, სხვა ბოსტნეული უმჯობესია მოვათავსოთ ისეთ მინდობრზე, რომელზეც ორგანული სასუქი წინა წელს იყო შეტანილი, სამაგიეროდ ეს კულტურები უნდა გავანიყიეროთ მინერალური სასუქების მეტი რაოდენობით, ვიდრე ზემოჩამოთვლილი.

ორგანული სასუქებიდან ბოსტნეულის გასანიყიერებლად პირველ რიგში ნახევრადგადამწვარი ნაკელი უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ თუ მისი მარაგი საკმარისი არ არის, მაშინ იყენებენ კომპოსტს, მაგრამ ამ უკანასკნელის ხმარების დროს დაცული უნდა იქნეს სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები: დაკომპოსტება ისეთ პირობებში უნდა ჩატარდეს, რომ კომპოსტის მასაში ტემპერატურამ 60 გრადუსამდე მიაღწიოს, რათა მოისპოს კუჭ-ნაწლავის იველმყოფობათა გამავრცელებელი სხვადასხვა ორგანიზმები და პარაზიტები. ამისათვის საჭიროა, რომ დასაკომპოსტებლად ხმარებული ტორფი კარგად განიავებულ და გამომშრალ იქნეს, კომპოსტი თავდაპირველად ფხვიერ გროვად უნდა დაიყაროს, რომ მოხდეს ორგანული ნივთიერების სწრაფი წვა და გროვის ტემპერატურის გადიდება. ტორფ-ფერალის კომპოსტი ნიაღაგში უნდა ჩაეხნათ მზრალად ხენის დროს.

თავისი დანიშნულება იქნება ბოსტანში აგრეთვე ძლიერ გადამწვარ ნაკელს, ნეშომპალას, სათბურის მიწის. მცირე სისქის მულჩად დაფენილი გაფხვიერებულ და გადასწორებულ ზედაპირზე, იგი საუკეთესო მასალის წარმოადგენს ნიაღაგის თესვისათვის მოსამზადებლად. ასეთი ფენა აფერხებს წყლის აორთქლებას ნიაღაგის ზედაპირიდან და, რაც მთავარია, იცავს ნიაღაგის ზედაპირს ქერქის წარმოქმნისაგან. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე გადამუშავებული გუმბრინი, რომელიც ნავთის მრეწველობის ანარჩენია და დიდი რაოდენობით გროვდება ნავთობის გაწმენ-



დის დროს. ეს ღონისძიება განსაკუთრებით ქრისტიანულებრივის ისეთი კულტურებისათვის, როგორიცაა, მაგალითად, ხახვა, რომელიც მეტად სათუთა აღმოცენების პერიოდში.

ნიადაგური პირობებისა და ბოსტნეული კულტურის სახეობის მიხედვით ერთი ჰექტარის გასანოეცირებლად საჭიროა 20—80 ტონა ნაკელი ან სხვა ორგანული სასუქი: მსუბუქ მცირე ნაყოფიერ ნიადაგებზე უფრო მაღალი დოზები უნდა გამოვიყენოთ, დიდი ხნის საბოსტნე ძლიერ გაკულტურებულ მიწებზე — ნაკლები, სარწყავში უფრო მაღალი დოზებია საჭირო, ურწყავში — ნაკლები და ა. შ.

ურწყავ, მცირეტენიან რაიონებში ნაკელი უნდა შევიტანოთ შემოდგომით, მზრალად ხვნის დროს, სარწყავებზე და ტენით მდიდარ რაიონებში კი გაზაფხულზე მზრალის აოშვის დროს.

ორგანული სასუქის ეკონომიისა და მისი ეფექტის გაზრდის მიზნით, იგი უმჯობესია შევიტანოთ ადგილობრივად — ბუდნებში ან კვლებში თესვის ან ჩითილის დარგვის დროს.

ბოსტნეულის გამოსაკვებად ვეგიტაციის განმავლობაში ორგანული სასუქებიდან იყენებენ ნაკელის წუნწუს 5—10 ტონის რაოდენობით ჰექტარზე, 5—10 ცენტნერ ფრინველის ნაკელს და სხვა სასუქებს.

ამ ბოლო დროს დიდი ყურადღება ექცევა ჩითილის აღზრდას და გადარგვას ტორფ-ნეშომპალიან ქოთნებში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ურჩია ამ წესის ფართოდ გამოყენება. იგი პირველად ფართოდ გამოიყენა მოსკოვის ოლქის მაქსიმ გორკის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ. ამ ახალი პროგრესული ღონისძიების შესახებ უკვე საკმაოდ მდიდარი პოპულარული ლიტერატურა გამოიცა, ფართოდ გააშუქა იგი ქართულმა უურნალ-გაზეთებმაც. ამიტომ მასზე ძალიან მოკლედ შევჩერდებით და იმდენად, რამდენადაც იგი წარმოადგენს ორგანული სასუქის გამოყენების ერთ-ერთ ფორმას ბოსტნეული მცენარის აღზრდის უველავე უფრო საპასუხისმგებლო

ორ მომენტში: ჩითილის გამოყვანისა და მისი გადატრანსფორმირებულ გრუნტში.

კარგი ხარისხის, მცენარის ფესვების კარგვამტარი ქოთნების დამზადებისათვის ტორფი და ძლიერგადამწვარი ნაკელი პირველ აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომლის უგულებელყოფა პრაქტიკაში ზოგჯერ მეტად არასასიამონო შედეგს გვაძლევს: ქოთნები იმდენად მკვრივი გამოდის, რომ აფერხებს ჩითილის ფესვების ნორმალურ განვითარებას. რომ ეს არ მოხდეს, ქოთნების დასამზადებელი მასალა კარგად უნდა იქნეს შეზავებული მცენარის თავისებურების, ნიადაგური პირობების და მასალის არსებული რესურსების მიხედვით.

ტორფ-ნეშომპალიანი ქოთნების მომზადების დროს ტორფის გარდა საჭიროა ძლიერგადამწვარი ნაკელი, ნეშომპალა და აგრეთვე, ხმარებული მასალის შეკვრის მიზნით, ახალი ნაკელიც. აი, მაგალითად, როგორი ნაზავისაგან ამზადებს კომბოსტოსა და პამიდორისათვის ტორფ-ნეშომპალიან ქოთნებს გორკის სახელობის ხსენებული საბჭოთა მეურნეობა.

კარგად დაშლილი დაბლობის ტორფი 7 წილი


ნეშომპალა	2	"
ყაშირის მიწა	1	"
ახალი ნაკელი	1	"

ცხადია, რომ ადგილობრივი პირობების მიხედვით ნაზავი შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ იგი წინასწარ კარგიდ უნდა იქნეს მოფიქრებული და გამოცდილი როგორც ლაბორატორიულ, ისე მინდვრის პირობებში.

როგორც დავინახეთ, მიუხედავად სოფლის მეურნეობის ფართო ქიმიზაციისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, მიუხედავად მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის დარგში არსებული დიდი მიღწევებისა და საერთოდ ჩვენს მიწათმოქმედების კულტურის ზრდისა, ორგანული სასუქები კვლავ რჩება როგორც მეტად მძლავრი ბერკეტი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობისათვის. ამიტომ,

როგორც კომუნისტური პარტია და საბჭოთა კულტოფრობაში მიგვითითებს, ყოვლად დაუშვებელია ორგანული სასუქების ის შეფასებლობა, რომელსაც კიდევ ვხვდებით ჩვენს კოლ-მეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში.

ორგანული სასუქებისადმი ასეთი დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს მათ მიმართ სწორი სამეურნეო მიდგომით; მეტი ზრუნვაა საჭირო იმისათვის, რომ მაქსიმალური რაოდენობით დავაგროვოთ ეს სასუქები, შევინარჩუნოთ მათი ხარისხი და მაქსიმალური ეფექტიანობით გამოვიყენოთ ისინი ჩვენი ბალების, ვენახების, ბოსტნების და მინდვრის კულტურათა მოსავლიანობის გადიდებისათვის.



## შინაარსი

შესავალი . . . . .	88-
ნაკელი . . . . .	3
ნაკელის წუნწუხი . . . . .	6
კომპოსტი . . . . .	19
მწვანე სასუქი . . . . .	22
სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სხვადასხვა ნარჩენი . . . . .	29
ორგანული სასუქების ნიადაგში შეტანის ტექნიკა .	32
ორგანული სასუქების გამოყენება სხვადასხვა კულტურის გასანოკიერებლად . . . . .	35
ჩაი და ციტრუსები . . . . .	38
ტუნგო . . . . .	40
ხეხილი და ვენახი . . . . .	43
ორგანული სასუქის გაადგილება თესლბრუნვაში . . .	44
შაქრის ჭარხალი . . . . .	48
თამბაქო . . . . .	55
კარტოფილი . . . . .	57
მარცვლეული კულტურები . . . . .	59
ბოსტნეული კულტურები . . . . .	63
	67

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

\*

რედაქტორი მ. საბაშვილი

ტექნიკური ა. თოდუა

კორექტორი ნ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 15.1.55. ხელმოწ. დასაბეჭდად 16.3.55. ქაღალდ.

ზომა  $84 \times 108^1/16$ . ქაღალდ. ფურც. 1,125. საბეჭდ. ფურც. 3,69.

საავტორო 2,84. სააღრ.-საგამოც. ფურც. 2,94.

შეკვ. 97. უე 01587. ტირაჟი 3000.

ფასი 75 კაპ.

ფასი 75 კაბ.



Ш. Ф. Чанишвили

ОРГАНИЧЕСКИЕ УДОБРЕНИЯ И ИХ  
ПРИМЕНЕНИЕ ДЛЯ ПОВЫШЕНИЯ  
УРОЖАЙНОСТИ

(на грузинском языке)

Издательство Академии наук Грузинской ССР  
ТБИЛИСИ — 1955